# თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
# Tbilisi Humanitarian Teaching University

V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენციის მასალების კრებული

V International Scientific-Practical Interdisciplinary Conference

PROCEEDINGS

თბილისი, 11 დეკემბერი, 2024
Tbilisi,  December 11, 2024

## Conference Editorial Board

Prof., Dr. **Valentina Sakvarelidze** – Rector of the Tbilisi Humanitarian Teaching University

Assoc. Prof., Dr. **Davit Geperidze** – The head of the research and development center at the Tbilisi Humanitarian Teaching University;

Assoc. Prof. **Maia Meladze** – Grigol Robakidze University; Senior specialist of the research and development center at the Tbilisi Humanitarian Teaching University;

Prof., Dr. **Lia Chighlashvili** – Tbilisi Humanitarian Teaching University;

Prof., Dr. **Ilona Sakvarelidze** – Tbilisi Humanitarian Teaching University;

Prof., Dr. **Nona Gelitashvili** – Tbilisi Humanitarian Teaching University;

Prof., Dr. **Irine Arjevanidze** – Tbilisi Humanitarian Teaching University;

Assoc. Prof., Dr. **Nino Abaishvili** – Tbilisi Humanitarian Teaching University;

Assoc. Prof., Dr. Giorgi Kharshialdze - Tbilisi Humanitarian Teaching University;

Prof., Dr. **Jerzy WEBER** - Wroclaw University of Environmental and Life Sciences, Institute of Soil Science, Plant Nutrition and Environmental Protection.

**Irmina Ćwieląg-Piasecka-** Wroclaw University of Environmental and Life Sciences

Lecturer PhD **Andra Puran**, University of Pitesti, Faculty of Economic Sciences and Law, Department of Law and Public Administration, Romania

Lecturer PhD **Ramona Duminica**, University of Pitesti, Faculty of Economic Sciences and Law, Department of Law and Public Administration, Romania

კრებულში დაბეჭდილი მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებლები არიან ავტორები

**The authors are responsible for the content and style of the materials printed in the collection.**

c თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

Tbilisi Humanitarian Theaching University

**ISBN 978-9941-8-7539-7**

# სარჩევი
# Contents


სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - Dentistry, Pharmacy and Natural Sciences........ 6

The scientific potential of intraoral mobile photography in epidemiological studies........ 6

Lia Mania – DMD. PhD. Associate professor. Tbilisi Humanitarian Teaching University. Ketevan Nanobashvili – MD. PhD. Professor. University of Georgia. Tinatin Manjavidze – PhD.Associate professor. University of Georgia. Mamuka Benashvili - National Statistics Office of Georgia Ia Astamadze – DMD. Tbilisi Humanitarian Teaching University........ 6

სპორტის როლი ადამიანის ცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით........ 7

The Role of Sport in human life using modern technologies........ 8

ეკოლოგიური ვეტერინარია: ცხოველთა კეთილდღეობა და გარემოს დაცვა........ 9

Ecological veterinary medicine: animal welfare and environmental protection........ 10

ნიადაგგრუნტების საინჟინრო მელიორაციული შეფასების მეთოდიკა........ 11

Methodology of engineering melioration assessment of soils........ 12

გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე........ 12

The Impact of the Environment on Human Health........ 13

GEOSYSTEM SERVICES OF NATURAL RESOURCES IN PRUSZKÓW, MAZOVIA, CENTRAL POLAND........ 13

ანტისტაფილოკოკური პოლიკლონური იმუნოგლობულინის ზოგიერთი სეროლოგიური, იმუნოქიმიური და ბიოქიმიური თვისებები........ 14

Some Serological, Immunochemical and Biochemical properties of antistaphylococcal polyclonar Immunoglobulin........ 15

ნერწყვის კრისტალიზაციის ტიპების შესწავლა, ჯანმრთელ და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე პოპულაციაში........ 16

Study of saliva crystallization types in healthy and thyroid dysfunction population........ 17

D ვიტამინის როლი პირის ღრუს ანთებითი ხასიათის დაავადებების რეგენერაციაში........ 18

The Role of Vitamin D in the Regeneration of Inflammatory Diseases of the Oral Cavity........ 19

კბილთა მთლიანობის აღდგენისთვის განკუთვნილი მასალები და FDI კრიტერიუმი ფერთან მიმართებაში........ 20

ადჰეზიური სისტემა........ 22

Adhesive system........ 22

სამართალმცოდნეობა - Law........ 23

უპილოტო საფრენი აპარატები: ექსპლუატაციის რეგულირების პროცესში არსებული ხარვეზებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის სრულყოფის თაობაზე........ 23

Unmanned Aerial Vehicles: Addressing Regulatory Gaps and Enhancing the International Legal Framework........ 23

ზოგი სახელმწიფო კონსტიტუციის ძირითად დებულებებში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მოქალაქეობრივი ცენზის სამართლებრივი ასპექტები........ 24

Legal Aspects of Citizenship Requirements for High Political Office in the Fundamental Provisions of Various State Constitutions ..... 25
სასამართლოს როლი მემკვიდრეობის უფლების განხორციელების პროცესში..... 26
The role of the court in the process of implementing the right to inheritance ..... 27
ახლო აღმოსავლეთი გამოწვევების ფონზე და საქართველო ..... 28
გადაზიდვების საერთაშორისო და შიდასამართლებრივი რეგულირება..... 29
International and Domestic Legal Regulation of International Shipping..... 30
რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა და მისი სამართლებრივი შედეგები..... 31
Submission of a Rehabilitation Plan and Its Legal Consequences ..... 31
ზოგიერთი მოსაზრება თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით..... 32
Some opinions on the issue of freedom..... 33
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები. პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემები (ქართულ-გერმანული კვლევა)..... 34
Homeowners' associations. Practical and legislative problems (Georgian-German study) ..... 35
The recognition of judgments in civil and commercial matters (EU law)..... 35
New international instruments to protect human rights against the negative effects of the use of AI ..... 36
Legal Regulation of Competition on the EU`s Single Market and in Ukraine ..... 36
არასრულწლოვანთა სქესობრივი ხელშეუხებლობის საკითხებზე მართლმსაჯულების პრობლემური ასპექტები ..... 37
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების მეთოდების სამართლებრივი ასპექტები ..... 39
Legal aspects of the methods of interpration of the norm by the Constitutional Court..... 40
წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის უარყოფა და სამართლიანი სასამართლოს უფლება: ავტომატური დარღვევა თუ კონტექსტუალური შეფასება?..... 41
Refusal to Request a Preliminary Ruling and the Right to a Fair Trial: Automatic Violation or Contextual Assessment?..... 42
ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი - Economy, Business and Tourism ..... 44
Digitalization in Georgia and Its Impact on the Labor Market..... 44
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლი ტურიზმის განვითარებაში..... 44
The role of integrated marketing communications in tourism development..... 45
ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები..... 46
The Possibility of Wine Tourism Development..... 47
ელექტრონული ბიზნესის ეფექტიანი მართვის თანამედროვე ტენდენციები ..... 47
Modern Trends in Effective E-business Management ..... 48
The impact of technological progress on the application of strategic management accounting ..... 49
მწვანე ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში..... 49

Implementation Green Energy and Energy Efficient Technologies in Georgia....................................50
in the Field of Tourism ........................................................................................................50
ევროკავშირის ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ასპექტები და მიმართულებები51
Main Aspects and directions of digital transformation of European Union .......................................51
მომხმარებლური საზოგადოების თავისებურებები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.......................................................................................................................52
Peculiarities of the consumer society in the conditions of the modern market economy .................53
მოსწავლე-ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის ..........................................................53
განვითარების ძირითადი ასპექტები .......................................................................................53
Main aspects of development entrepreneurial potential of young ...................................................54
The threat of cyberattacks in business ..........................................................................................55
Exploring the Regional Dynamics of Foreign Direct Investment in Georgia: Patterns and Challenges 55
მენეჯერული აღრიცხვის როლი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად ...........56
The role of management accounting in making management decisions............................................58
The Role of Mineral Waters in the Sustainable Development of Tourism and Hospitality.................59
ჰუმანიტარული მეცნიერებები, ფსიქოლოგია - Humanities and Psychology ...............................60
ყურადღების კონცენტრირების დადებითი გავლენა ენის შესწავლის შედეგებზე..................60
THE IMPACT OF MINDFULNESS ON POSITIVE OUTPUT IN LANGUAGE STUDENTS .............................61
გადაშენების პირას მყოფი ენები და ხელოვნური ინტელექტი.................................................62
Endangered Languages and Artificial Intelligence ...............................................................................63
ლინგვისტური დეტერმინიზმი...........................................................................................63
Linguistic Determinism .........................................................................................................64
ქართველი ახალგაზრდების ემოციური ინტელექტის დონე და მისი პროგნოზირებადი გავლენა შინაგან მოტივაციაზე ........................................................................................65
Georgian Youth's Level of Emotional Intelligence and Its Predictive Influence on Intrinsic Motivation .........................................................................................................................................66
1956 წლის 9 მარტის მოვლენები ..........................................................................................67
The events of March 9, 1956 .............................................................................................68
თან თანდებულიან სახელთა სწავლება ქართული ენის შემსწავლელთათვის........................69
Teaching Nouns with Suffix "- თან" for Georgian Language Learners................................................70

# სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - Dentistry, Pharmacy and Natural Sciences

## The scientific potential of intraoral mobile photography in epidemiological studies

**Lia Mania** – DMD. PhD. Associate professor. Tbilisi Humanitarian Teaching University.
**Ketevan Nanobashvili** – MD. PhD. Professor. University of Georgia.
**Tinatin Manjavidze** – PhD.Associate professor. University of Georgia.
**Mamuka Benashvili** - National Statistics Office of Georgia
**Ia Astamadze** – DMD. Tbilisi Humanitarian Teaching University

The study aims to evaluate the diagnostic accuracy of intraoral mobile photography to assess caries intensity (DMFT/deft), simplified oral hygiene index (S-OHI), and modified gingival index (MGI).
Methods: Children aged 7-12 were included in the study. The clinical doctor evaluated the oral health indicators by visual examination: DMFT, deft, S–OHI, and MGI were calculated. Dental students independently captured photos with a mobile phone (iPhone-11) in 8 predetermined projections. Dental images were kept in coded folders for research anonymity. Another professional calculated the index based on the photos. Variables were used with binary values (DMFT/deft = 0/≥1; MGI=0/≥1; S-OHI≤1.2/>1.2). Sensitivity, specificity, positive predictive value (PPV), and negative predictive value (NPV) of dental photography were evaluated and Cohen's Kappa was calculated to measure the level of agreement between two independent observers.
Results: 2864 photographs were evaluated for 358 participants. The sensitivity and specificity of intraoral mobile photography for DMFT index is 95.8 (95% CI: 93.4-98.3) and 89.2 (95% CI: 83-95.5); For deft index: 100.0 (95% CI: 100-100) and 88.6 (95% CI: 79.3-98); For MGI: 89.7 (95% CI: 85.8-93.5) and 91.4 (95% CI: 86.3-96.5); For S-OHI: 77.6 (95% CI: 67.6-87.6) and 93.8 (95% CI: 91-96.6); The PPV value for DMFT, deft, MGI and S-OHI is 96.2; 97.7; 95.6 and 74.3 and the NPV value is 88.3; 100.0; 80.9 and 94.8 respectively. It was achieved substantial and perfect agreement between two independent raters: For DMFT, deft, MGI, S-OHI indices Cohen’s Kappa =0.85; 0.93; 0.78; 0.70 respectively.

Conclusion: Intraoral mobile photography, if applied within appropriate guidelines is reliable for assessing caries intensity, simplified hygiene index and modified gingival index as well as visual screening and may become a priority for dental public health. The involvement of dental students in studies of similar design is appropriate.

**Key Words**: Intraoral mobile photography, epidemiology, children, oral indices.

# სპორტის როლი ადამიანის ცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

**აზა რევიშვილი,** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი/სრული პროფესორი/მედიცინის აკადემიური დოქტორი.
**ნინო ჯაფარიძე,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი
**ქეთევან ხაზარაძე,** საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი/ ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი
**ირინა ჯავახიშვილი,** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი/მოწვეული პედაგოგი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პროფესიონალური სპორტი დიდ გავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებაზე ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კუთხით. ის არის ერთ-ერთი იმ უშვიათესი დარგებიდან, რომელიც ლახავს ყველა სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეთნიკურ ბარიერს, აქვს გაერთიანების შესანიშნავი უნარი, რაც მას კომუნიკაციის მძლავრ და უნივერსალურ საშუალებად აქცევს. განსაკუთრებით დღეს, 21-ე საუკუნეში, ინტერნეტისა და ტელევიზიის ეპოქაში, როდესაც სპორტის პოპულარობამ, მისმა ყურებადობამ უდიდესი მასშტაბები მიიღო - მსოფლიო სპორტისთვის თვალყურის მიდევნება ნებისმიერ ქვეყანასა თუ კუთხეში გახდა ადვილად შესაძლებელი. საინტერესოა, რომ გაერო სპორტს განიხილავს არამხოლოდ ადამიანის უფლებად, არამედ უნიკალურ კონცეფციად, რომელიც აერთიანებს ადამიანის ბევრ ფუნდამენტურ პრინციპს: „სპორტს აქვს უნიკალური ძალა მოიზიდოს, გააერთიანოს და შთააგონოს ადამიანები. იგი მოიცავს გაეროს წესდებაში შემავალ პრინციპებს ადამიანის ღირებულებების შესახებ, როგორებიცაა მოწინააღმდეგის პატივისცემა, სავალდებულო წესების დაცვა, გუნდური მუშაობა და სამართლიანობა".

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) აღიარებს, რომ ფიზიკური აქტივობა და სპორტული ვარჯიში მნიშვნელოვანი საშუალებაა ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განმტკიცებისთვის. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვნად ამცირებს არაგადამდებ დაავადებათა რისკ ფაქტორებს (მაგ.: მაღალი არტერიული წნევა, ჭარბწონიანობა, სიმსუქნე, მენტალური ჯანმრთელობა) და ხელს უწყობს სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირებას ჯანდაცვის სისტემაში.

მიხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს დამტკიცდა "სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 წლები" და აღნიშნული დოკუმენტის ბაზაზე შეიქმნა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და დაიწყო მუშაობა შემდედი მიმართულებებით, როგორიცაა: "1. სპორტული ინფრასტრუქტურა; 2. სასპორტო განათლება და მეცნიერება; 3. საკანონმდებლო ცვლილებები".

ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდება სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაავადებათა პრევენციის ხარისხის გაზრდის, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შემცირებისა კუთხით მიღწეული კონკრეტული შედეგები, თუმცა ეს არ არის საკმარისი თანამედროვე გამოწვევების ფარგლებში. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აუცილებელია დაიგეგმოს მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სფეროში პოლიტიკის რეალიზაციის მყარი ინსტიტუციური საფუძვლები.

ასევე მნიშვნელოვანია ფართო მასებში აქტიური აქცია-პროპაგანდის წარმოება, მეტი ონლაინ მასტერკლასები სპორტის მნიშვნელობაზე ადამიანის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** სპორტი, სახელმწიფო პოლიტიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები, ჯანმრთელობა, სპორტის განვითარების პოლიტიკა.

## The Role of Sport in human life using modern technologies

**Aza Revishvili**, Tbilisi Humanitarian Education University/ full professor/Academic Doctor of Medicine
**Nino Japaridze**, Tbilisi State Medical University/Assistant Professor, Academic Doctor of Medicine
**Ketevan Khazaradze**, Georgian State University of Sports and Physical Education/ Associate Professor, Academic Doctor of Medicine
**Irina Javakhishvili**, Tbilisi Humanitarian Education University/ guest teacher

It is widely known that professional sports have a great impact on our society in economic, political, cultural and social terms. It is one of the rarest fields that crosses all social, political or ethnic barriers, it has a great ability to unite, which makes it a powerful and universal means of communication. Especially today, in the 21st century, in the era of the Internet and television, when the popularity of sports, its viewership has reached the greatest proportions - it has become easy to follow world sports in any country or corner. Interestingly, the UN considers sport not only as a human right, but as a unique concept that combines many fundamental human principles: “Sport has a unique power to attract, unite and inspire people. It includes the principles of human values contained in the UN Charter, such as respect for the opponent, compliance with binding rules, teamwork and justice”.

The World Health Organization (WHO) recognizes that physical activity and sports training are important means of promoting human health and well-being. It is scientifically proven that physical activity significantly reduces risk factors for non-communicable diseases (eg high blood pressure, overweight, obesity, mental health) and helps to reduce public and private costs in the health care system.

Despite the fact that in 2013, the "Sports State Policy Document 2014-2020" was approved, and on the basis of this document, a number of legislative changes were created and work began in the following directions, such as: "1. Sports infrastructure; 2. Sports education and science; 3 . legislative changes".

In order to solve the existing problems and improve the situation in the country, a state policy for the development of sports and an action plan for its implementation will be developed. The concrete results achieved in terms of improving the health status of the population and increasing the quality of disease prevention, reducing public healthcare costs, however, this is not enough within the framework of modern challenges. With the use of modern technologies, it is necessary to plan solid institutional foundations for the implementation of policies in the field of mass and high-achievement sports.

It is also important to conduct active action-propaganda among the masses, more online master classes on the importance of sports in human development.

**Key words:** sports, state policy, modern technologies, health, sports development policy**.**

# ეკოლოგიური ვეტერინარია: ცხოველთა კეთილდღეობა და გარემოს დაცვა

**მაია კერესელიძე** - ევროპის უნივერსიტეტი/ ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**რუსუდან ურიდია** - ევროპის უნივერსიტეტი /ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
**გალია ცქვიტინიძე** - ევროპის უნივერსიტეტი/ ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი
**ნინო მილაშვილი** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი
**შოთა ნებიერიძე** - ევროპის უნივერსიტეტი/ვეტერინარიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ეკოლოგიური ვეტერინარია წარმოადგენს თანამედროვე ვეტერინარიის მიმართულებას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვაზე, არამედ მათსა და გარემოს შორის ურთიერთქმედების სწორ მართვაზე. ცხოველთა კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკოსისტემების სტაბილურობასთან, რაც მოითხოვს ინტერდისციპლინურ და ეკოლოგიის გაერთიანებას.

ეკოლოგიური ვეტერინარიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია „ერთი ჯანმრთელობის" კონცეფცია, რომელიც ცხოველთა, ადამიანთა და გარემოს ჯანმრთელობას აერთიანებს. ეს მიდგომა ეყრდნობა იმას, რომ ცხოველთა კეთილდღეობა და ჯანმრთელობა პირდაპირ არის დამოკიდებული გარემოზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და კლიმატის ცვლილებები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცხოველებს, არამედ ადამიანის საზოგადოებასაც.

ვეტერინარებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. მათი მოვალეობაა, არა მხოლოდ ინდივიდუალური ცხოველების მკურნალობა, არამედ ეკოსისტემების სწორი მართვა და დაავადებების პრევენცია, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ადამიანებსა და ცხოველებს შორის. ეკოლოგიურ ვეტერინარიაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დაავადებების გავრცელების პრევენცია ველურ და შინაურ ცხოველებს შორის, რისთვისაც აუცილებელია მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებები გარემოს და ცხოველთა ჰაბიტატის დაცვით.

გარდა ამისა ვეტერინარები აქტიურად არიან ჩართულები მდგრადი ფერმერობის პრაქტიკების განვითარებაში, რაც ითვალისწინებს ცხოველების მოვლას ისეთ პირობებში, რომლებიც არ აზიანებს გარემოს და ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ეკოლოგიური ვეტერინარია მიმართულია იმ მიმართულებითაც, რომ მინიმიზირდეს ცხოველთა მეურნეობების გავლენა კლიმატზე, მაგალითად, სათბურის აირების გამოყოფის შემცირების გზით.

დაბოლოს, ეკოლოგიური ვეტერინარია ფოკუსირებულია ცხოველთა კეთილდღეობასა და ეკოსისტემების სტაბილურობის შენარჩუნებაზე. ამ მიდგომამ შეიძლება მნიშვნელოვანწილად შეამციროს ისეთი ეკოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები, როგორიცაა ეპიდემიები და გარემოს დეგრადაცია, და უზრუნველყოს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული მომავალი როგორც ცხოველებისთვის, ასევე ადამიანებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანმრთელობა, ზოონოზური დაავადებები, მდგრადი განვითარება, ბიომრავალფეროვნება, ჰაბიტატის კონსერვაცია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1."One Health: The Human-Animal-Environment interhaces in Emerging infectious Diseases"
2. Veterinary Ekcology: Concepts and Applications
3. "Jurnal of Wildlife Diseases.
4. Gibbs, E.P.J. (2014). 'The evolution of One Health: a decade of progress and challenges for the future".

5.Loh, E.N., et al. (2015). “Targeting Transmission Pathways for Emerging Zoonotic Disease Surveillance and Control.” Vector-Borne and Zoonotic Disesses.

## Ecological veterinary medicine: animal welfare and environmental protection

Maya Kereselidze - European University/ Doctor of Veterinary Sciences, Professor
**Rusudan Uridia** - European University / Doctor of Biology, Professor
**Galia Tskvitinidze** - European University/ Doctor of Veterinary Medicine, Professor
**Nino Milashvili** - European University/ Doctor of Veterinary Medicine, Professor
**Shota Nebieridze** - European University / Doctor of Veterinary Medicine, Professor

Ecological veterinary medicine is a direction of modern veterinary medicine, which is focused not only on protecting the health of animals, but also on the correct management of the interaction between them and the environment. Animal welfare is closely linked to the stability of ecosystems, which requires an interdisciplinary and ecological approach.

One of the main principles of ecological veterinary medicine is the concept of "one health", which integrates the health of animals, people and the environment. This approach is based on the fact that the welfare and health of animals directly depends on the environment in which they live. Environmental pollution, loss of biodiversity and climate change threaten not only animals but also human society.

Veterinarians have an important role in ensuring animal welfare. Their duty is not only to treat individual animals, but also to properly manage ecosystems and prevent diseases that can spread between humans and animals. One of the important issues in ecological veterinary medicine is the prevention of the spread of diseases between wild and domestic animals, for which monitoring and preventive measures are necessary to protect the environment and animal habitat.

In addition, veterinarians are actively involved in the development of sustainable farming practices, which provide for the care of animals in conditions that do not harm the environment and contribute  the keeping of biodiversity. Ecological veterinary medicine is also aimed at minimizing the impact of animal farms on the climate, for example by reducing greenhouse gas emissions.

Finally, ecological veterinary medicine focuses on the welfare of animals and maintaining the stability of ecosystems. This approach can significantly reduce environmental and health problems such as epidemics and environmental degradation, and ensure a future based on sustainable development principles for both animals and humans.

**Key words:** health, zoonotic diseases, sustainable development, biodiversity, habitat conservation.

**References:**

1.”One Health: The Human-Animal-Environment interhaces in Emerging infectious Diseases”

2. Veterinary Ekcology: Concepts and Applications

3.”Journal of Wildlife Diseases.

4. Gibbs, E.P.J. (2014). ‘The evolution of One Health: a decade of progress and challenges for the future”.

5.Loh, E.N., et al. (2015). “Targeting Transmission Pathways for Emerging Zoonotic Disease Surveillance and Control.” Vector-Borne and Zoonotic Disesses.

# ნიადაგგრუნტების საინჟინრო მელიორაციული შეფასების მეთოდიკა

**ოლღა ხარაიშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი
**ლევან იტრიაშილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
**ნინო მებონია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი

განსაზღვრულია ასათვისებელი და უკვე ათვისებული სასოფლო-სამეურნეო ფართობების ნიადაგგრუნტების საინჟინრო-მელიორაციული მდგომარეობის ობიექტური შეფასება, განხორციელებული, განსახორციელებელი და აგრომელიორაციული ღონისძიებების ეფექტიანობის განსაზღვრა.

შეფასების კრიტერიუმად მიღებულია ნიადაგგრუნტის უნარი უზრუნველყოს ფოროვან სივრცეში მცენარეთათვის აუცილებელი პროდუქტიული წყლის და ჰაერის შემცველობა, მინიმალურად და მაქსიმალურად დასაშვები ტენიანობის ფარგლებში.

შეფასებისთვის გამოყენებულია ადვილად განსაზღვრადი მახსიათებლები, რომელბიც რაოდენობრივად ასახავენ ნიადაგრუნტში წყლის და ჰაერის შემცველობას.

აღნიშნული მახასიათებლებიდან p, y, $W_{\text{მჭ}}$, $W_{\text{უ.წ.}}$ და $W_{\text{კონკრ}}$. განსაზღვრა წარმოებდა სტანდარტული ლაბორატორიული მეთოდიკით შეაბამისი ფართობიდან აღებული დაუშლელი ნიადაგგრუნტის ნიმუშების გამოყენებით. დანარჩენი მახასიათებლები: n, $W_{\text{ზ}}$, $W_{\text{მინ}}$, $W_{\text{მაქს}}$, $W_{\text{პრ}}$, W და $W_{\text{მაქს}}$. გამოთვლები განხორციელებულია მარტივი დამოკიდებულებებით.

ნიადაგს დამაკმაყოფილებელი მდოგმარეობა (ანუ უნარი უზრუნველყოს მცენარეთათვის საჭირო წყალჰაეროვანი რეჟიმი) გააჩნია, როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი ზღვრული პირობები: ჰაერის მაქსიმალურად შესაძლებელი შემცველობა უნდა იყოს მეტი ან ტოლი ჰაერის მინიმალურად დასაშვები შემცველობისა, პროდუქტიული წყლის შემცველობა უნდა აღემატებოდეს ნულს და უმცირესი წყალტევადობა უნდა უდრიდეს ან იყოს ნაკლები მაქსიმალურად დასაშვები ტენიანობისა.

ვინაიდან ნიადაგგრუნტებში წყალი და ჰაერი განლაგებულია ფორიანობის სივრცეში, ფორიანობის სიდიდე კი პირდაპირ დამოკიდებულებაში მოცულობით მასასთან, ცხადია, რომ ჰაერის და წყლის არასახარბიელო შემცველობის გაუმჯობესება შეიძლება მოცულობითი მასის შემცირებით ანუ ნიადაგგრუნტების გაფხვიერებით.

ოპტიმალური მოცულობითი მასის დადგენით, რაც მიღწეული იქნა  გამოთვლებით სხვადასხა მნიშვნელობის მოცულობითი მასებისათვის, სანამ არ დაკმაყოფილდება სამივე ზღვრული პირობა, რაც უზრუნველყოფს მოცემულ ნიადაგგრუნტში შესაბამის გაფხვიერების შემთხვევაში მცენარეთათვის საჭირო ჰაერის და წყლის შემცველობის გარანტიას.

ნიადაგგრუნტში საჭირო ჰაერის, წყლის შემცველობის კონტროლი ხორციელდებოდა ტენიანობის კონტროლის საშუალებით  და ზღვრული პირობების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც დგინდება მორწყვის საჭიროება, ნორმები და ხანგრძლივობა.

# Methodology of engineering melioration assessment of soils

**Olga Kharaishvili,** Senior scientific employee of the water management Institute of the Technical University Professor, Doctor of Agriculture

**Levan Itriashivili,** Chief Researcher of the water management Institute of the Technical University of Georgia, Academic Doctor

**Nino Mebonia,** Associate Professor of Technical University of Georgia, Doctor of Agriculture

An objective assessment of the engineering-ameliorative condition of the soils of the agricultural areas to be utilized and already utilized, determination of the effectiveness of implemented, to be implemented and agro-improvement measures is determined.

The assessment criterion is the ability of the soil to provide the necessary productive water and air content for plants in the pore space, minimally and within the maximum allowable humidity.

For evaluation, easy-to-determine indicators are used, which quantitatively reflect the content of water and air in the soil.

from the mentioned characteristics p, y, $W_{\text{მმწ}}$, $W_{\text{უ.წ.}}$ და $W_{\text{კონკრ}}$. The determination was made by standard laboratory method using dissolved soil samples taken from the corresponding area. Other features: n, $W_{\text{ზ}}$, $W_{\text{მინ}}$, $W_{\text{მაქს}}$, $W_{\text{პრ}}$, W და $W_{\text{მაქს}}$. Calculations are made with simple dependencies.

The soil has satisfactory permeability (i.e., the ability to provide the water-air regime necessary for plants) when the following limiting conditions are met: the maximum possible air content must be greater than or equal to the minimum permissible air content, the productive water content must be greater than zero, and the smallest water capacity must be equal to or less than the maximum permissible of humidity.

Since water and air in soils are located in the porosity space, and the size of the porosity is directly related to the volumetric mass, it is clear that the unfavorable content of air and water can be improved by reducing the volumetric mass, that is, by loosening the soils.

By determining the optimal volumetric mass, which was achieved by calculations for volumetric masses of different values, until all three threshold conditions are met, which guarantees the air and water content necessary for plants in the case of appropriate loosening in the given soil.

The control of air and water content in the soil was carried out by means of humidity control and taking into account the threshold conditions, on the basis of which the need, norms and duration of irrigation are determined.

# გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

**მედეა მჭედლიძე** აკადემიური დოქტორი

ნაშრომში მოყვანილია გარემოს დაბინძურების ხარისხი პროგნოზირების დესკრიპცული მოდელის საშუალებით.

გარემოს დაბინძურების ხარისხობრივი მაჩვენებლები ხასიათდებიან პროგნოზირების მეთოდით (0-1):

1. სანიტარულ-ჰიგიენური შეფასება გარემოს დაბინძურების ეპიდემიის ფონზე (ეკოლოგიური დარღვევის დროს)

2. სანიტარულ-ჰიგიენური შეფასება გარემოს დაბინძურების ეპიდემიის ფონზე (ეკოლოგიური კრიზისის დროს)
3. სანიტარულ-ჰიგიენური შეფასება გარემოს დაბინძურების ეპიდემიის ფონზე (ეკოლოგიური კატასტროფის დროს)

## The Impact of the Environment on Human Health

**Medea Mchedlidze**, Doctor of Academic Studies

This paper presents a descriptive model for predicting the degree of environmental pollution. The qualitative indicators of environmental pollution are characterized using a prediction method (0-1):
1. Sanitary-hygienic assessment in the context of an environmental pollution epidemic (during ecological disruption)
2. Sanitary-hygienic assessment in the context of an environmental pollution epidemic (during ecological crisis)
3. Sanitary-hygienic assessment in the context of an environmental pollution epidemic (during ecological disaster)

## GEOSYSTEM SERVICES OF NATURAL RESOURCES IN PRUSZKÓW, MAZOVIA, CENTRAL POLAND

**Maria Górska-Zabielska** ORCID ID: 0000-0003-3152-2955, Institute of Geography and Environmental Sciences, Jan Kochanowski University, Kielce, POLAND

The fact that the areas surrounding the capital are not traditionally considered tourist attractions (Szkup, Michalski, 2022) does not mean that nature-based and educational tourism cannot develop there. According to studies (e.g., Albino et al., 2015; Budziewicz-Guźlecka, 2017; Bifulco, Tregua, 2018; Hajduk, 2020; *Development Strategy*, 2021), residents often aspire to live in smart cities characterized by innovative solutions and opportunities. In such cities, tourism, well-being, and geosystem services cater to increasingly sophisticated societal needs. Wise management of natural resources by local governments, involving citizens and/or supported by experts, can generate positive innovation impulses with the overarching goal of sustainable economic development and high quality of life (e.g., Górska-Zabielska, 2020; Carrión-Mero et al., 2021; Hamoud et al., 2021; Farabollini et al., 2022).

In 2022, through social participation, a small facility was created, which Van Geert (2019) describes as an ex-situ geological museum exhibition. This facility, a nature trail, was designed for the residents of Pruszków, located in the Warsaw (capital of Poland) metropolitan area, as well as for anyone who appreciates the beauty of inanimate nature and seeks to preserve it in its least disturbed state for future generations. This urban installation, featuring glacial-origin objects, provides the following geosystem services (see Lima, Pereira, 2023): cognitive, educational, pro-environmental, recreational, and aesthetic.

The Pruszków geopath integrates 12 Scandinavian erratic boulders accompanied by three informational panels and a brochure. This setup serves educational, pro-environmental, and

upbringing purposes in the spirit of geoethics for students from local schools. It meets the cognitive needs of residents and tourists during summer nature walks through the city. This modest collection of erratic rocks utilizes abiotic elements of nature for tourism purposes, adhering to the principles of nature conservation. It helps illustrate geodiversity and, in the context of Pruszków's geo-resources, explains geodiversity as a concept. The geopath also plays an essential aesthetic and environmental role, functioning as a small pocket garden (Jasprizza, 1999). Through the effective transfer of expert knowledge, it becomes a driver of sustainable socio-economic development for the city.

The presentation will also address how the existing misalignment between the mission of universities and the dynamically changing market for geosystem services, alongside the needs of local residents in the Mazovian Voivodeship (*Regional Innovation Strategy*, 2021), can be effectively resolved, using the example of a small lapidarium in Pruszków.

## ანტისტაფილოკოკური პოლიკლონური იმუნოგლობულინის ზოგიერთი სეროლოგიური, იმუნოქიმიური და ბიოქიმიური თვისებები

თ. დალაქიშვილი, ზ. ლომთათიძე, ს. რიგვავა, მ. ნათიძე, ლ. გუბელაძე, ლ. კვაჭაძე, დ. ბოლქვაძე
გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, ევროპული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს „იმუნოგენი“.

ანტისტაფილოკოკურ პოლიკლონურ იმუნოგლობულინში შესწავლილია ბაქტერიის და მისი ტოქსინების (ალფა-ჰემოლიზინი, PV-ლეიკოციდინი, ჰიალურონიდაზა) საწინააღმდეგო ანტისხეულების სპეციფიკური აქტივობა, იმუნოგლობულინების F(ab’)-ფრაგმენტების იმუნოქიმიური და ბიოქიმიური მახასიათებლები. ანტისტაფილოკოკური იმუნოგლობულინი მიღებულია ცხოველების (თხა) ჰიპერიმუნიზაციით ვირულენტური (24 შტამი) და პირობით პათოგენური (6 შტამი) სტაფილოკოკებით და მათი ტოქსინებით. სისხლის შრატში და იმუნოგლობულინის ხსნარში ანტისტაფილოკოკური ანტისხეულე-ბის ტიტრის შესაფასებლად სტანდარტული მეთოდით მომზადდა და ლიოფილურად იქნა გამშრალი სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები (ბაქტერიული, ალფა–ტოქსინის, PV-ლეიკოციდინის, ჰიალურონიდაზის). აღნიშნული პროცედურა განხორციელდა პასიური (არაპირდაპირი) ჰემაგლუტინაციის რეაქციით. ანტისტაფილოკოკური ანტისხეულების დონე თხის ნორმალურ და იმუნურ შრატში, აგრეთვე იმუნოგლობულინში განვსაზღვრეთ იმუნოფერმენტული მეთოდით (იფა). შედეგები დარეგისტრირდა იმუნოფერმენტულ რიდერზე (Sunostik SPR-960). იმუნოფერმენტული ანალიზის ჩასატარებლად გამოვიყენეთ რეაგენტი: Anti-Goat IgG (H&L) in rabbit Affinity Purified, Polysciences, Inc.exp.10.2022. According to normal values 50-390 ng/ml immunoenzyme analizis has been performed based on common “Sandwich-ELISA” in accordance with the guidelines attached to the test-systems. ანტისტაფილოკოკური პოლიკლონური იმუნოგლობულინის პრეპარატიდან F(ab’)2 ფრაგმენტის მისაღებად გამოვიყენეთ Thermo Scientific -ის (აშშ) მიერ წარმოებული სპეციალური ნაკრები („Pierce™ Fab Preparation Kit, USA”), რომელიც შეიცავს ანტისხეულის F(ab’)2 ფრაგმენტის მისაღებად საჭირო ყველა კომპონენტს და წარმოადგენს აღნიშნული პროდუქტის მიღებისა და გაწმენდის სწრაფ და ეფექტურ საშუალებას. გაწმენდის პროცესი

მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: იმობილიზებული ფერმენტის (პეპსინის) სვეტის მომზადება, შემდეგ ანტისხეულების ფერმენტით დაჭრა და სასურველი F(ab')2 ფრაგმენტის მიღება და მათი გაწმენდა. ანტისხეულების ტიტრს α-ტოქსინის მიმართ ვსაზღვრავდით Lh (limes-haemolisis) რეაქციაში, რომელმაც შეადგინა 140-160 IU/ml; ანტიბაქტერიული ანტისხეულების ტიტრის დიაპაზონმა იმუნურ შრატში და იმუნოგლობულინში პასიური ჰემაგლუტინაციის ტესტში -1:3200 – 1:12800; ანტილეიკოციდინური ანტისხეულების ტიტრმა -1:640 – 1:1280, ხოლო ჰიალურონიდაზის მიმართ - 1:160 – 1:320 შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლები ნორმალურ შრატში მერყეობდა 1:10-1:40-ის ფარგლებში. ნორმალური (საკონტროლო) შრატების საშუალო მონაცემებმა იმუნოფერმენტულ ანალიზში სტაფილოკოკური ტოქსინის მიმართ 0,081 შეადგინა; ხოლო იმუნური შრატის და იმუნოგლობულინის დადებითობის ინდექსმა აღნიშნულ ტოქსინთან მიმართებაში - 10,08; ანტიბაქტერიული ანტისხეულების დადებითობის ინდექსმა 9,2517, PV-ლეიკოციდინის დადებითობის ინდექსმა -4,3968, ხოლო ჰიალურონიდაზის მიმართ - 0,9214. F(ab')2 ფრაგმენტის შესწავლილ იქნა იმუნოქიმიურად და ბიოქიმიურად. შედეგები შევაფასეთ სპექტროფოტომეტრულად და ცილების ელექტროფორეზით აკრილამიდის გელში (SDS-PAGE). სარწმუნო შედეგი მივიღეთ პეპსინის ზემოქმედებით ანტისხეულზე - pH-3,5 -ზე და 37ºC 2 სთ ექსპოზიციის პირობებში. თერმოსტაბილობის კონტროლი ჩატარდა გელ-ელექტროფორეზით აკრილამიდის გელში (SDS-PAGE), რითაც დადასტურდა იმუნოგლობულინის სტაბილურობა 37ºC 30 დღის განმავლობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ანტისტაფილოკოკური იმუნოგლობულინი, ანტისხეულები, ალფა-ტოქსინი, PV-ლეიკოციდინი, ჰიალურონიდაზა.

## Some Serological, Immunochemical and Biochemical properties of antistaphylococcal polyclonar Immunoglobulin

T. Dalakishvili; Z. Lomtatidze; S. Rigvava; M. Natidze; L. Gubeladze; L Kvatchadze, D.Bolkvadze.
G. Eliva Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, European University, Sokhumi State University, Ltd ,Immunogen''

In Antistaphylococal polyclonar Immunoglobulin, the specific activity of antibodies against bacteria and it's toxins (alpha-hemolysin, Pv-leukocidin, hyaluronidase), immunochemical and biochemical characteristics of immunoglobulin F (ab)-fragments have been studied. Antistaphylococcal immunoglobulin is obtained by hyperimmunization of animals (goats) with virulent (24 stains) and conditionally pathogenic (6 stains) staphylococcus and their toxins. Diagnostic test systems (bacteria, alpha-toxin, Pv-leukocidine, Hyaluronidase) were prepared and lyophilically dried to evaluate the titer of antistaphylococcal antibody in blood serum and immunoglobulin solution. The mentioned procedure was carried out with a passive (indirect) hemagglutination reaction. We determined the level of antistaphylococcal antibodies in the normal and immune serum of the goat, as well as in immunoglobulin, by the immunoenzymatic method (IFA). The result were registered on the immunoenzymatic reader (Sunostic SPR-960 ).We used a reagent to conduct immunoenzymatic analysis:Anti-goat IgG (H & L) in rabbit affinity purified, polysciences,Inc.exp 10.2022.

According to normal values 50-390 ng/me immunoenzyme analizis has been perforated based on common ,,Sandwich -ELISA'' in accordance with guidelines attached to the test -systems.To obtain a fragment F ( ab) 2 from the antistaphylococcal polyclonar immunoglobulin preparation ,we used a

special kit produced by Thermo Scientific ( USA) ( Pierce TM Fab Preparation kit, USA'') which contains all the components necessary to obtain a fragments of the antibody F ( ab) 2 and is a quick and effective means of receaving and cleaning the said product.The cleaning process involved several ,stages : preparing a column of immobilized enzyme ( pepsin) ,then cutting the antibodies with an enzyme and obtaining the desired F ( ab) 2 fragment and cleaning them. We determined the antibody titer against α -toxin in the Lh (limes-haemolisis) reaction ,which amounted to 140-160 IU/ME, antibacterial antibody .Titer range in immune serum and immunoglobulin passive hemagglutination test-1:3200 -1 : 1280 ;Antileukocidin antibody titer 1:640 -1:1280 and hyaluronidase -1:160 1:320 ,These indicators in normal serum varied between 1:10 -1:40 .The average data of normal ( control) serum in the immune-enzymatic analysis against staphylococcal toxin amounted to 0,081;and the positive index of immune serum and immunoglobulin in relation to the mentioned toxin -10,08; Antibacterial antibody .positivity index 9.2517, PV-leukocidine positivity index-4.3968 and hyaluronidase-0,9214 .The F( ab) 2 fragment was studied immunochemically and biochemically.We evaluated the results by spectrophotometrically and by electrophoresis of proteins in acrylamide gel (SDS -PAGE). We got a reliable result due to the effect of pepsin on the antibody pH-3,5 and 37◦C under conditions of 2 hours of exposure. Thermostability control was carried out by gel-electrophoresis in acrylamide gel (SDS-PAGE), thus confirming the stability of immunoglobulin at 37◦C for 30 days.
Key words: antistaphylococcal immunoglobulin, antibodies, alpha-toxin, PV-leukocidine, hyaluronidase.

## ნერწყვის კრისტალიზაციის ტიპების შესწავლა, ჯანმრთელ და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე პოპულაციაში

**სესილი ბერიაშვილი,** ევროპის უნივერსიტეტი, მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნორმალური ნერწყვის ნაკადის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტომატოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვნად აქვთ შემცირებული ნერწყვის დონე, იმყოფებიან კბილის კარიესის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ. გამოკვლეულია ნერწყვის მრავალი თვისობრივი და რაოდენობრივი კომპონენტი და აღწერილია მათი ზემოქმედება კბილის კარიესის განვითარებაზე. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბუფერული სიმძლავრე, ნაკადის სიჩქარე, ფტორის დონე, იმუნოგლობულინის IgA ანტისხეულების სეკრეტორული დონეები, პეროქსიდაზა, ჰიპოთიოციანიტის იონები და ადჰეზინები , მათი ცვლილება დაკავშირებულია კბილის კარიესის გაზრდასთან. ნერწყვის გამოყოფის სიჩქარეზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია, კერძოდ ჰიპოთირეოზი. ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დროს აღინიშნება ჰიპოსალივაცი, რაც განაპირობებს ნერწყვის ბუფერული თვისებების დაქვეითდებას $HCO_3$-ის კონცენტრაციის შემცირების ხარჯზე; მცირდება კალციუმისა და ფოსფატების კონცენტრაცია, რაც იწვევს pH-ის დაქვეითებას; იქმნება ლაქტობაცილების რაოდენობის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობები. ჰიპოსალივაციის (≤ 0,16 მლ/წთ) დროს ინდივიდებში

კბილის ზედაპირის დემინერალიზაციის სიჩქარე მეტია, ვიდრე ნერწყვის ნორმალური სეკრეციის ან ჰიპერსალივაციის დროს.

ჩვენ გამოვიკვლიეთ 20 წლამდე ასაკის 150 მოზარდი. ისინი დავყავით ორ ჯგუფად. ძირითადი ჯგუფი შეადგინა ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე 90-მა მოზარდმა კბილების კარიესის ინტენსივობის მაღალი დონით – 0,52±0,6. საკონტროლო ჯგუფში შევიდა პრაქტიკულად ჯანმრთელი 60 პაციენტი, კბილების კარიესის ინტენსივობის დაბალი დონით – 0,02±0,01.

განვსაზღვრეთ ნერწყვში სეკრეტორული IgA-ს შემცველობა და შევისწავლეთ ნერწყვის კრისტალიზაცია. შედეგად დავადგინეთ მიკროკრისტალიზაციის სამი ტიპი, რომლებიც დავუკავშირეთ კბილის კარიესის ინტენსივობას. გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა კბილის კარიესის ფართო გავრცელება, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე მოზარდებში, რაც აისახა ნერწყვის მიკროკრისტალიზაციის ტიპებში.

ჩვენს მიერ მიღებულმა მონაცემებმა საშუალება მოგვცეს გაგვეკეთებინა შეჯამება:

ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე მოზარდებს ახასიათებთ კბილების კარიესის ინტენსივობის მაღალი დონე და ნერწყვის მინერალური პოტენციალის შედარებით დაბალი დონე, ვიდრე ეს აქვთ კბილების კარიესის დაბალი დონის ინტენსივობის მქონე პირებს.

**საკვანძო სიტყვები:** ფარისებრი ჯირკვალი, ჰიპოტირეოზი, კრისტალიზაცია, მინერალიზაცია, კბილის კარიესი.

## Study of saliva crystallization types in healthy and thyroid dysfunction population

**Sesili Beriashvili,** European University, Doctor of Medicine, Associate Professor

The presence of normal salivary flow in and around the biofilm is critical to maintaining good dental health. Individuals who have significantly reduced salivary levels are at high risk for developing dental caries. Many qualitative and quantitative components of saliva have been investigated regarding their effects on dental caries. Factors such as buffer capacity, flow rate, fluoride level, secretory levels of immunoglobulin IgA antibodies, per- oxidase, hypothiocyanite ions, and adhesins are associated with an increased risk of dental caries. The rate of salivation is affected by factors such as thyroid dysfunction, in particular hypothyroidism.in the case of hyposalivation during thyroid gland dysfunction, the buffering properties of saliva decrease at the expense of reducing the concentration of HCO3; The concentration of calcium and phosphates decreases, which leads to a decrease in pH; Favorable conditions are created for the growth of the number of lactobacilli. In individuals with hyposalivation (≤ 0.16 mL/min), the rate of tooth surface demineralization is greater than with normal salivary secretion or hypersalivation.

We examined 150 teenagers aged 20 years. We divided them into two groups. The main group consisted of 90 teenagers with thyroid gland dysfunction with a high level of dental caries intensity - 0.52±0.6. The control group included with 60 healthy patients, with a low level of dental caries intensity - 0.02±0.01. We determined IgA in saliva.

We determined the content of secretory IgA in saliva and studied the crystallization of saliva. As a result, we determined three types of microcrystallization, which we associated with

the intensity of tooth caries. As a result of the research, a wide spread of dental caries was revealed in adolescents suffering from thyroid gland dysfunction, which was reflected in the types of saliva microcrystallization.

The data we received allowed us to make a summary:

Adolescents with thyroid dysfunction are characterized by higher levels of dental caries intensity and relatively lower levels of saliva mineral potential than individuals with lower levels of dental caries intensity.

## D ვიტამინის როლი პირის ღრუს ანთებითი ხასიათის დაავადებების რეგენერაციაში

**ნანა მდინარაძე,** საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

D ვიტამინი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვიტამინია. იგი არეგულირებს 200-ზე მეტი გენის ფუნქციას. D ვიტამინის დეფიციტის მიმართ მგრძნობიარეა როგორც ბავშვები, ასევე მოზრდილი მოსახლეობა. მისი ნაკლებობა ვლინდება ოფლიანობის, თმის ცვენის, კანის სიმშრალის, ფრჩხილების ცვენის, ზოგადი სისუსტის, ძვალ-სახსროვანი დაავადებების, დეპრესიის და პაციენტების მხრიდან სხვადასხვა ჩივილების გამოვლენით.

სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობაში შექმნილი გარკვეული პრობლემების მიზეზი სწორედ D ვიტამინის დეფიციტით არის გამოწვეული, რამაც განაპირობა აღნიშნული საკითხის აქტუალობა. დღის წესრიგში დადგა ზოგიერთი სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის პროცესში ექიმ-ენდოკრინოლოგებთან თანამშრომლობა და ეფექტური მკურნალობისათვის პაციენტებისათვის მკურნალობის და პროფილაქტიკის ინდივიდუალური და კომბინირებული მეთოდების შემუშავება.

ლაბორატორიული და ეპიდემიოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ კავშირს D ვიტამინის დეფიციტსა და ისეთი დაავადებების გავრცელების სიხშირეს შორის როგორიცაა კბილთა კარიესი, პერიოდონტიტი და ოსტეომიელიტი.

სტომატოლოგიური დაავადებების პროტოკოლში D ვიტამინის დასაბუთებული ჩართულობა დღეისათვის სიახლეს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის დაჩქარებას. პოსტოპერაციულ პერიოდში D ვიტამინის მიღება ხელს უწყობს ოსსიფიცირების პროცესს და აჩქარებს პაციენტების რეაბილიტაციის დროს ორთოგნათიული ოპერაციების შემდეგ. ასევე დადგენილია D ვიტამინის დადებითი როლი დენტალური იმპლანტების ოსტეოინტეგრაციის კუთხით.

აღსანიშნავია ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტის ენდოდონტიური მკურნალობისათვის შემუშავებული მკურნალობის განსხვავებული ეფექტური მეთოდები. კვლევის შედეგები იძლევა იმის საფუძველს, რომ ინფექციური წარმოშობის ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტის კომპლექსური მკურნალობის პროტოკოლში ექიმმა სტომატოლოგებმა წარმატებით გამოიყენონ D ვიტამინი, როგორც ძვლის რეგენერაციის საუკეთესო საშუალება. თანამედროვე ლიტერატურული მონაცემები ქრონიკული პერიოდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში D ვიტამინის დამატების შესახებ მცირეა, სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული თემის აქტუალობა. ამრიგად, კვლევის მიზანია

ქრონიკული პერიოდონტიტის კომპლექსურ მკურნალობის სქემაში D ვიტამინის დამატებით მიღებული შედეგის კლინიკური ეფექტურობის შეფასება.

კვლევა ჩატარდა 25-45 წლამდე 58 პაციენტზე. საკვლევი ობიექტები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად. I ჯგუფში გაერთიანებულ პაციენტებს აღენიშნებოდათ D ვიტამინის დეფიციტი, ისინი მკურნალობდნენ მედიკამენტოზურად. II ჯგუფში გაერთიანებულ პაციენტებს აღენიშნებოდათ D ვიტამინის დეფიციტი, ისინი არ იტარებდნენ შესაბამის მკურნალობას. III ჯგუფში გაერთიანებული პაციენტები პრაქტიკულად ჯანმრთელია, არ აღენიშნებათ D ვიტამინის დეფიციტი.

ენდოდონტიური მკურნალობა ტარდებოდა სტანდარტული მეთოდით კალციუმის ჰიდროქსიდის პრეპარატებით. D ვიტამინის კორექციას უზრუნველყოფდა ექიმი ენდოკრინოლოგი, პაციენტებში ქოლეკალციფეროლის დოზირება ხდებოდა ინდივიდუალურად.

მკურნალობის დინამიკაში ხდებოდა სისხლის შრატში D ვიტამინის კონცენტრაციის შეფასება. კბილის ქსოვილში დესტრუქციის ხარისხის კვლევა ხდებოდა კომპიურეტული ტომოგრაფიის საშუალებით, რაც ფესვის არხის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა, მინიმალური დასხივების და სწრაფი კვლევის და გამოსახულების მაღალი ხარისხის ხარჯზე.

აღნიშნული კვლევის საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია პერიოდონტიტების ქრონიკული მკურნალობის სქემაში D ვიტამინის შემცველი პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** პერიოდონტიტი, ოსტეომიელიტი, ენდოდონტია, D ვიტამინი, მკურნალობა.

## The Role of Vitamin D in the Regeneration of Inflammatory Diseases of the Oral Cavity

**Nana Mdinaradze**
National Defense Academy of Georgia -Expert of the Quality Assurance Service
Professor at the European University, Candidate of Medical Sciences

Vitamin D is one of the most essential vitamins for human health, regulating the function of more than 200 genes. Both children and adults are susceptible to vitamin D deficiency, which manifests as excessive sweating, hair loss, dry skin, brittle nails, general weakness, bone and joint disorders, depression, and various other symptoms.

Vitamin D deficiency poses challenges in the treatment of certain dental diseases, highlighting the importance of this issue. Collaboration with endocrinologists and the development of individualized and combined treatment and prevention strategies have become essential for effective dental care.

Laboratory and epidemiological data demonstrate a link between vitamin D deficiency and an increased incidence of dental caries, periodontitis, and osteomyelitis.

The well-established inclusion of vitamin D in dental treatment protocols is no longer novelty, as it has been shown to accelerate bone tissue regeneration. In the postoperative period, vitamin D supplementation promotes ossification and enhances patient recovery following orthognathic surgery. Additionally, its positive role in the osseointegration of dental implants has been confirmed.

Notably, various effective treatment methods have been developed for the endodontic management of chronic apical periodontitis. The findings of this study support the successful incorporation of vitamin D as an essential component in bone regeneration within the comprehensive treatment protocol for chronic apical periodontitis of infectious origin. However, the available literature on the use of vitamin D in the complex treatment of chronic periodontitis remains scarce, underscoring the relevance of this topic. Thus, the aim of this study was to evaluate the clinical effectiveness of incorporating vitamin D into the comprehensive treatment regimen for chronic periodontitis.
The research was conducted on 58 patients aged 25–45 years, who were divided into three groups. Group I patients had vitamin D deficiency and received appropriate treatment with medication. Group II patients had vitamin D deficiency but did not receive treatment. Group III consisted of healthy individuals without vitamin D deficiency.
Endodontic treatment was performed using the standard method with calcium hydroxide preparations. Vitamin D correction was provided by an endocrinologist; cholecalciferol dosage was administered individually to patients.
During treatment, serum vitamin D concentrations were monitored. The extent of tooth tissue destruction was assessed using computed tomography, which provides an optimal balance of minimal radiation exposure, rapid examination, and high image quality.
Based on the findings of this research, a recommendation was made regarding the incorporation of vitamin D-containing preparations into the treatment regimen for chronic periodontitis.
**Keywords:** periodontitis, osteomyelitis, endodontics, vitamin D, treatment.

## კბილთა მთლიანობის აღდგენისთვის განკუთვნილი მასალები და FDI კრიტერიუმი ფერთან მიმართებაში

**ნინო ტალახაძე** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი,
IV-კურსი, VII-სემესტრი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დევნოზაშვილი**

პოლიმერულ მასალების სტომატოლოგიაში გამოყენებამდე კბილების დეფექტების შევსებაზე ზრუნვამ საკმაოდ გრძელი ისტორიული გზა გაიარა. პოლიმერული მასალების შექმნის ისტორია 1800-იანი წლებიდან დაიწყო - რეზინის წარმოების ტექნოლოგიის პარალელურად. საკვანძო აღმოჩენას წარმოადგენდა ბუნებრივი კაუჩუკის ამ მიმართულებით გამოყენრება. პოლიმერულ მასალები შედგება- არორგანული შემავსებლების, ორგანული მატრიცის და სილანის დამაკავშირებელი კომპონენტებით. თანამედროვე ადამიანის  ნათელი და ლამაზი ღიმილი მკვეთრად ასოცირებული და დამოკიდებული გახდა მოდის ტენდეციებთან. დღესდღეისობით მაღალი მიხწევების და მიუხედავად სტომატოლოგიური კომპოზიციური მასალები კვლავ განაგრძობდნენ განვითარებას. კერძოდ, იზრდება უფრო მცირე ზომის ნაწილაკების ჩართულობა, უკეთესი შემაკავშირებელი სისტემების გამოყენება, გამაგრება-ჩაბეჭვდის სისტემების დახვეწა. კომპოზიციური მასალებით რესტავრაცია აღადგენს კბილს ან კბილის ნაწილს, რომელიც ბუნებრივი კბილებისგან არ განსხვავდება. მნიშვნელოვანია FDI კრიტერიუმების

გათვალისწინება კბილების რესტავრაციისთვის გამოყენებული მასალების თვისებების და ხარისხის განსაზღვრისას

ყველა ასაკის პაციენტის კონტაქტის გაზრდამ ტექნოლოგიებთან მნიშვნელოვნად შეცვალა ფერის ესთეტიკური მაჩვენებლების მიმართ დამოკიდებულება, რაც მკვეთრად აისახა პაციენტების მიერ უფრო ღია ფერის რესტავრაციების მოთხოვნასთან.მოთხოვნის განსაზღვრისას იმატა პაციენტების რიცხვმა რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ სურთ ძალია თეთრი კბილები (ანუ ბლიჩი) თუმცა პრაქტიკულად ფერთა გამის რეგისტრაციისაა მოსწონთ ღია ფერის A1 B1 ტონის კბილები. უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ პანდემიის შემდეგ გემოვნების ცვლილებები უფრო თვალნათელი გახდა. სწორედ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და უფრო რაციონალური კვლევის ჩატარება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

## Materials for Restoring Tooth Integrity and FDI Criteria in Relation to Color

**Nino Talakhadze,** Tbilisi Humanitarian University, IV-year, VII-semester
Supervisor: **Rusudan Devnozashvili**

Before the use of polymeric materials in dentistry, the care of filling defects in teeth has gone a long way. The history of the creation of polymeric materials began in the 1800s - in parallel with the technology of rubber production. The key discovery was the use of natural rubber in this direction. Polymeric materials consist of inorganic fillers, an organic matrix and silane coupling components. The bright and beautiful smile of a modern person has become strongly associated and dependent on fashion trends. Despite today's high achievements and improvements, dental composite materials continue to develop. In particular, the inclusion of smaller particles is increasing, the use of better bonding systems, and the refinement of cementation-imprinting systems. Restoration with composite materials restores a tooth or part of a tooth that is indistinguishable from natural teeth. It is important to consider FDI criteria when determining the properties and quality of materials used for dental restorations. The increased contact of patients of all ages with technologies has significantly changed the attitude towards aesthetic indicators of color, which is clearly reflected in the demand for lighter-colored restorations by patients. When determining demand, the number of patients who note that they do not want very white teeth (i.e. bleach) has increased, although in practice they prefer light-colored teeth of A1 B1 tone. It should be noted that after the Covid pandemic, changes in taste have become more noticeable. Based on the above, we considered it appropriate to conduct a more rational study.

# ადჰეზიური სისტემა

**ნიკოლეტა ვენიერი**
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, IV-კურსი, VII-სემესტრი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დევნოზაშვილი**

კბილის ქსოვილების რესტავრაციის სრულყოფისთვის სრაფვა კვლავ წარმოადგენს თანამედროვე სტომატოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან სტრატეგიას. კბილის ქსოვილებთან კომპოზიციური მასალების მყარი ფიქსაცია და ქსოვილების ვიტალური მაჩვენებლების შენარჩუნება კვლავ არ კარგავს აქტუალობას. „ადჰეზია" ნიშნავს სარესტავრაციო მასალის ფიქსირებას კბილის ქსოვილთან. ადგეზიური ანუ წებოვანი სისტემა არის ნივთიერებების ერთობლიობა-პრაიმერი, ბონდი, შემაკავშირებელი აგენტი და ნივთიერებები, რომლებიც ამზადებენ ზედაპირს კერძოდ,მჟავა და კონდიციონერი.

იგი ახდენს დამუშავებული მინანქრის და დენტინის სტრუქტურების გაჟღენთას და მასში ჰიბრიდული ფენის შექმნას. კერძოდ, უზრუნველყოფს კავშირს ჰიდროფობიულ კომპოზიტურ მასალასა და მინანქარ-დენტინს შორის.

პირველი თაობის ბონდი შეიქმნა 1956 წელს თუმცა მისი განვითარება ნაბიჯ ნაბიჯ მიმდინარეობდა და 2011 წელს შეიქმნა ახალი თაობის Universal Adhesives, რომლის მოქმედების შესაძლებლობები გაცილებით სრულყოფილია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით მუშაობა არ წყდება და ახალი საფიქსაციო სისტემების შექმნა კვლავ დღის წესრიგში დგას.

# Adhesive system

**Nikoleta Venieri,** Tbilisi Humanitarian University, IV-year, VII-semester
Supervisor: **Rusudan Devnozashvili**

For the improvement of tooth tissue restoration, bonding is still an important strategy of modern dental work. Firm fixation of composite materials to tooth tissues and maintaining tissue vital indicators still does not lose its relevance. "Adhesion" means the fixation of the restoration material to the tooth tissue. Adhesive or adhesive system is a combination of substances - primer, bond, bonding agent and substances that prepare the surface, namely acid and conditioner.

It impregnates the treated enamel and dentin structures and creates a hybrid layer in it. In particular, it provides a connection between the hydrophobic composite material and the enamel-dentin.

The first generation of bond was created in 1956, however, its development proceeded step by step, and in 2011 a new generation of Universal Adhesives was created, the performance capabilities of which are much more complete. It can be said that work in this direction does not stop and the creation of new fixation systems is still on the agenda.

# სამართალმცოდნეობა - Law

## უპილოტო საფრენი აპარატები: ექსპლუატაციის რეგულირების პროცესში არსებული ხარვეზებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის სრულყოფის თაობაზე

**დავით გეფერიძე**
სამართლის დოქტორი,
გორის სახელმწიფო და თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი

უპილოტო საფრენი აპარატების ირგვლივ არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა გამომდინარეობს მოცემული ტექნიკური მოწყობილობის განსაკუთრებული ზემოქმედებით საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის დარგში არსებული სამართლებრივი ხარვეზების მიმართ. პილოტირებადი საჰაერო ხომალდის განგანსხვავებით, უპილოტო საფრენი აპარატების საქმიანობა წარმოშობს განსხვავებულ გამოწვევებს, რომლებიც სცილდება მოქმედი მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის ფარგლებს და მოიცავს უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის, პასუხისმგებლობისა და აღსრულების გარკვეულ სადავო აქტუალურ პრობლემებს. ბუნებრივია, ამ თემას კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო საჰაერო სამართალში არსებული ნორმები, რომლებიც შედარებით მოძველებულია და ყურადღების მიღმა ტოვებს უპილოტო საფრენი აპარატების უნიკალურ მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, სამართალშემოქმედებითი პროცესი ჩიხურ მდგომარეობაშია მოქცეული, რადგან ტექნოლოგიური პროგრესისა და განვითარების წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია.

საერთაშორისო საჰაერო სამართალში არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ფონზე, ნაშრომში განხილულია უპილოტო საჰაერო აპარატების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პროცესში არსებული პრობლემატური ასპექტები. ძირითად ნაწილში, განხილულია უპილოტო საფრენი აპარატის განმარტებასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ნაშრომის დასკვნითი ნაწილის განხილვის საგანია - აღნიშნული მოწყობილობის საქმიანობის მომწესრიგებელი საერთაშორისო სტანდარტები და რეგულირების პროცესში არსებული ხარვეზები, შეჯამებულია განხილული საკითხები და მიცემულია პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც უპილოტო საჰაერო აპარატების საქმიანობის მომწესრიგებელ საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს ეფექტიანს გახდის.

## Unmanned Aerial Vehicles: Addressing Regulatory Gaps and Enhancing the International Legal Framework

**David GEPERIDZE**
Doctor of Law,
Professor at Gori State and Tbilisi Humanitarian University

The urgent need to address the legal challenges associated with unmanned aerial vehicles (UAVs) arises from their significant impact on exposing gaps in the international civil aviation regulatory framework. Unlike traditional manned aircraft, UAV operations

introduce unique complexities that surpass the scope of existing international legal norms. These challenges encompass critical and contentious issues such as security, privacy, liability, and enforcement. Moreover, the situation is exacerbated by outdated international air law provisions that fail to account for the distinctive features and advanced capabilities of UAVs. Compounding these challenges is the stagnant pace of legislative development, hindered by the unpredictable trajectory of technological innovation.

This paper examines the challenges associated with the legal regulation of unmanned aerial vehicles (UAVs) within the framework of existing international air law. The main section focuses on critical issues such as the definition and classification of UAVs, providing a foundation for understanding their unique characteristics. The concluding section analyzes international standards governing UAV operations, highlighting regulatory gaps and inefficiencies. The paper concludes with a summary of the findings and proposes solutions to address these shortcomings, aiming to create a more effective international legal framework for UAV regulation.

## ზოგი სახელმწიფო კონსტიტუციის ძირითად დებულებებში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მოქალაქეობრივი ცენზის სამართლებრივი ასპექტები

**მანანა ხვედელიძე**, სამართლის დოქტორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აფილირებული პროფესორი

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა 20-ზე მეტი სახელმწიფოს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამის დებულებებში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მოქალაქეობრივი ცენზის სამართლებრივი ასპექტები. XVIII-XX საუკუნეებში მიღებული კონსტიტუციების ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს გავაანალიზოთ თუ როგორ აისახებოდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ქვეყნების ერებისა და ეთნოსების თავისებურებების გათვალისწინება კონსტიტუციურ ნორმებში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის მოქალაქეობრივი ცენზის, სხვა აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ განმსაზღვრელი ძირითადი დებულებები.

საკითხი აქტუალური გახდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე საკანონმდებლო ორგანოს მიერ ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისთანავე. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მიღებით აშკარა გახდა უმაღლეს პოლიტიკური თანამდებობის პირთა შორის დაპირისპირება, რასაც მოჰყვა პოლიტიკური ვითარების დაძაბვა ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი მოკავშირეების მხრიდან. სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საფრთხის შემცველი დესტაბილაზაციის გამომწვევი მოვლენების განსავითარებლად გამოიკვეთა სხვადასხვა მეთოდებით წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების ქვეყნების წარმომადგენლების მხრიდან დაფიქსირდა საერთასორისო

სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის სისტემატიური დარღვევის ფაქტები.

ქართული სამართლის განვითარებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ვალდებულების მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა მე-20 საუკუნის ბოლოდან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში როგორ იცვლებოდა ქვეყნის ძირითად კანონში - კონსტიტუციაში პრეზიდენტის ინსტიტუტის მოქალაქეობის ცენზის განმსაზღვრელი ნორმა და იყო თუ არა დაკავშირებული უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის წარდგენის მომენტისთვის მასზე მორგებული აღნიშნული ცვლილება.

ჩვენი აზრით ასეთი სამართლებრივი ანალიზი სავალდებულო იყო, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მიღების, ასევე მასში ცვლილებების შეტანის დროსაც, რაც გამორიცხავდა საფრთხის შემცველი ნიშნების გამოწვევებს სახელმწიფო უსაფრთხოების სტაბილურობისა და ქვეყნის განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებით.

კონფერენციის მონაწილეები ანალიზზე დაყრდნობით იმსჯელებენ და პარალელს გაავლებენ სახელმწოფოთა წარმოდგენილი კონსტიტუციების მიხედვით უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირთათვის მოქალაქეობრივი ცენზის, საკვალიფიკაციო და ვალდებულებების მოთხოვნის შესახებ სამართალგანვითარების დადებით და ნაკლოვან მხარეებზე. დასკვნაში წარმოდგენილი იქნება უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის სამართლებრივი ნორმების სრული განსაზღვრისათვის საჭირო წინადადებები ქვეყნის ეროვნული, ტერიტორიალური, სამართლებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** კონსტიტუცია, მოქალაქეობა, ცენზი, საფრთხე, პოლიტიკა.

## Legal Aspects of Citizenship Requirements for High Political Office in the Fundamental Provisions of Various State Constitutions

**Manana Khvedelidze,** Doctor of Law
Affiliated Professor, Tbilisi Humanitarian Teaching University

This scholarly paper aims to examine the legal aspects of citizenship requirements for high political office as outlined in the constitutional provisions of over twenty states. By analyzing constitutions adopted between the 18th and 20th centuries, we can assess how the political context of the time influenced the constitutional norms regulating the citizenship requirements, other necessary qualifications, and obligations for high-ranking political officials, while also considering the ethnic and national characteristics of different countries.

The issue gained particular relevance following the adoption of the “Law on Transparency of Foreign Influence” by the legislative body ahead of the parliamentary elections. This legislative act revealed significant conflicts among high-ranking political figures, leading to heightened political tensions among opposition parties, non-governmental organizations, and their allies. The ensuing events, characterized by various premeditated destabilization tactics, posed a threat to state authority. Additionally, representatives of international organizations and Georgia’s strategic partner countries repeatedly violated one of the fundamental principles of international law—non-interference in a country’s domestic affairs.

Given the importance of Georgia’s legal development and the principle of professional responsibility, this study examines how the constitutional norm defining the citizenship requirement for the presidency has evolved in Georgia’s fundamental law since the late 20th

century. It also explores whether these constitutional changes were directly linked to the nomination process of high political officeholders at the time of their enactment.
In our view, such a legal analysis is essential both during the adoption of Georgia's Constitution and in the process of its amendments. This approach helps mitigate potential risks to national security, political stability, and the country's development prospects.
Conference participants will engage in discussions based on this analysis, drawing comparisons between different constitutional frameworks regarding citizenship requirements, qualifications, and obligations for high political officeholders. The conclusions will present proposals for establishing comprehensive legal norms tailored to Georgia's national, territorial, legal, political, and religious interests.
**Keywords: Constitution, Citizenship, Requirements, Threats, Politics**

# სასამართლოს როლი მემკვიდრეობის უფლების განხორციელების პროცესში

**ლელა ნადიბაიძე,** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, რასთან მიმართებითაც განსახილველი თემის ფარგლებში აღსანიშნავია მისი 31-ე მუხლით განსაზღვრული ყოველი ადამიანის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ვისაუბრებთ ამ კონფერენციის ფარგლებში და შევეცდებით მონაწილეებს პრაგმატული კუთხით დავანახოთ რა როლი აქვს სასამართლოს მემკვიდრეობის უფლების განხორციელების პროცესში, კერძოდ, მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სადავო თუ უდავო საკითხებზე და მოვახდინოთ დიფერენცია მასზე როგორც კანონით გათვალისწინებულ სავალდებულოდ გამოსაყენებელ მექანიზმზე და საპროცესო შესაძლებლობაზე.
მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობები ხასიათდება რთული იურიდიული ბუნებით და ამავე დროს მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების სირთულითაც , რაც განპირობებულია ამ ურთიერთობების სპეციფიკით. კონკრეტულად კი იმით, რომ მისი წარმოშობის დროისთვის ცოცხალი აღარ არის პირი, ვისი ქონების გადაცემაც ხდება მის მემკვიდრეებზე ნებით - ანდერძის ან ნების გარეშე კანონის საფუძველზე, ასევე იმის გამოც, რომ ამ უფლების განხორციელების მიმართ კანონმდებლობა გამოირჩევა იმპერატიული ხასიათის მოთხოვნებით, რისი დაუცველობაც ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ უკავშირდება პასიური ფორმით მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას და მისი აღდგენა სრულიად დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აღიაროს ან მიაკუთვნოს პირს მემკვიდრეობის საფუძველზე დანატოვარ სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლება.
აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მემკვიდრეობის უფლების და კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება არა მხოლოდ დავის შემთხვევაში, ასევე სასამართლოსათვის მიმართვა აუცილებელია კანონით გათვალისწინებულ უდავო შემთხვევებშიც, რისი განხილვისას ასევე ვისაუბრებთ ამ უფლებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებზე რომელთა შორის ხშირია დავები მემკვიდრეობის უფლების განხორციელების ვადებთან მიმართებაში და ვისაუბრებთ ამ

კუთხით სასამართლოს როლსა და მნიშვნელობაზე, მათ შორის, მატერიალურ და პროცესუალურ საკითხებზე. მაგალითად, სასამართლოს უფლებაზე გააგრძელოს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა ან უარი უთხრას მემკვიდრეს მის აღდგენაზე და ამით ამ უკანასკნელმა დაკარგოს მემკვიდრეობის უფლება, ასევე ვისაუბრებთ იმ ვადების შესახებაც, რა დროშიც შესაძლებელია მემკვიდრის მიერ როგორც ამ უფლების აღიარება და სამკვიდროს მიღება, ისე მასზე უარის თქმა დ ა. შ., რასთან მიმართებით აუცილებლად აღსანიშნავია კანონის მიდგომა სასამართლოს გარეშე ამ უფლების აღიარებასთან დაკავშირებით მაშინაც, თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება მემკვიდრის მიერ სათანადო ორგანოსადმი მიმართვა სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. ეს შეეხება როგორც სხვა მემკვიდრეთა მიერ ნების გამოხატვის შემთხვევას, ისე სამკვიდრო ქონების დაუფლების ფაქტის დადგენას. გარკვეული ადგილი დაეთმობა ქმედუუნარო, შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღები პირის მემვიდრეობის უფლების განხორციელების კანონიერ მექანიზმების განხილვას, მათ შორის სამკვიდროს მიღებას და უარის თქმას წარმომადგენლის მეშვეობით.

# The role of the court in the process of implementing the right to inheritance

**Lela Nadibaidze,** Tbilisi Humanitarian University,
Doctor of Law, Professor

The right to property and inheritance is recognized and guaranteed by Article 19 of the Constitution of Georgia, in relation to which, within the framework of the topic under discussion, it is worth noting the right of every person to apply to the court for the protection of his rights, defined in Article 31. It is precisely regarding the latter that we will talk about within the framework of this conference and we will try to show the participants from a pragmatic perspective what role the court has in the process of implementing the right to inheritance, in particular, on controversial or undisputed issues arising in connection with the right to inheritance, and to differentiate it as a legally binding mechanism and a procedural possibility.

Inheritance-legal relations are characterized by a complex legal nature and at the same time by the complexity of the processes related to their implementation, which is due to the specificity of these relations. Specifically, by the fact that at the time of its origin, the person whose property is transferred to his heirs by will or intestate on the basis of law is no longer alive, as well as by the fact that the legislation regarding the implementation of this right is distinguished by imperative requirements, the non-observance of which in some cases is directly related to the loss of the right to inheritance in a passive form, and its restoration depends entirely on the court's decision to recognize or attribute to a person the right of ownership of the inherited property left on the basis of inheritance.

It should also be said that the protection of the right to inheritance and legal interests through the court is carried out not only in the event of a dispute, but also in undisputed cases provided for by law, and when discussing this, we will also talk about the disputes arising in connection with this right, among which disputes regarding the terms of exercising the right to inheritance are frequent, and we will talk about the role and importance of the court in this regard, including material and procedural issues. For example, the right of the court to extend the period established for receiving the inheritance or to refuse the heir to restore it, and thus the latter loses the right to inheritance, we will also talk about the terms within which the heir can both recognize this right and accept the inheritance, as well as refuse it, etc. , in relation to which it

is necessary to note the approach of the law regarding the recognition of this right without a court, even if the heir does not apply to the appropriate body within the established period regarding the receipt of the inheritance. This applies both to the case of expression of will by other heirs, and to the establishment of the fact of possession of the inherited property. A certain place will be devoted to the discussion of the legal mechanisms for the exercise of the right of ownership by an incapacitated person, a person with limited legal capacity, and a person receiving support, including the receipt and refusal of the inheritance through a representative.

## ახლო აღმოსავლეთი გამოწვევების ფონზე და საქართველო

**ეკატერინე ლომია,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ლექტორი/მკვლევარი
**მირანდა მიქაძე,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ლექტორი/მკვლევარი

XXI საუკუნეში, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონი უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. რეგიონი, რომლის შემადგენლობაში ჩვეულებრივ განიხილავენ თორმეტ არაბულ და ოთხ არაარაბულ სახელმწიფოს, „ძველი სამყაროს" შუაგულში მდებარეობს და რამდენიმე დიდ რეგიონს ემეზობლება. კერძოდ, სამხრეთ აზიას (ავღანეთსა და პაკისტანს), ცენტრალურ აზიას (თურქმენეთს), სამხრეთ კავკასიას (საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს), ბალკანეთს (ბულგარეთსა და საბერძნეთს), მაღრიბს (კერძოდ, ლიბიას) და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკას (სუდანს). სტრატეგიული მდებარეობა სამი კონტინენტის - ევროპის, აზიისა და აფრიკის - შესაყარზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ოდითგანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. თანამედროვე სამყაროში რეგიონი ხშირად ექცევა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში, რაც, ბუნებრივია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტოგენურობით აიხსნება. ცხადია, ცალკე აღნიშვნის ღირსია ახლო აღმოსავლეთის ჰიდროკარბონული რესურსები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს რეგიონში. ბოლოდროინდელმა ესკალაციამ, როგორიცაა ისრაელსა და ჰამასს შორის მიმდინარე კონფლიქტი და დაძაბულობა ირანისა და მის მიერ მხარდაჭერილ ძალებს შორის ლიბანში, არა მარტო გაამძაფრა რეგიონული არასტაბილურობა, არამედ გავლენა მოახდინა საერთაშორისო ვაჭრობაზე, უსაფრთხოებასა და ენერგეტიკულ დინამიკაზე. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე განაპირობებს მისი, როგორც პოტენციური შუამავლის მზარდ როლს რეგიონის სტაბილურობაში. ამასთან, ქვეყანა გახდა ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე რეგიონული ლოჯისტიკის სფეროში. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა ხაზი გაუსვა საქართველოს როლის მნიშვნელობას რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობაში. ვინაიდან ახლო აღმოსავლეთი გამოწვევების წინაშე დგას, საქართველოს სტრატეგიული ინიციატივები და ვალდებულება ტრანსპორტისა და ლოჯისტიკური სექტორის გაძლიერებაში, უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნული კონფლიქტების უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად ახლო აღმოსავლეთის მეზობელ რეგიონებში.

***საკვანძო სიტყვები:*** *ახლო აღმოსავლეთი, კონფლიქტები, ენერგოპოლიტიკა, საქართველო*

# გადაზიდვების საერთაშორისო და შიდასამართლებრივი რეგულირება

**ია ხარაზი,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკ. წერეთლის
სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

XXI საუკუნეში, ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, მთელს მსოფლიოში ტვირთების ტრანსნაციონალური გადაზიდვების საკითხის მოწესრიგების გარეშე არსებობა ძალიან რთული და წარმოუდგენელიცაა. თითოეული სახელმწიფო, რომელსაც სურს იყოს ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროს ნაწილი, ითვალისწინებს გადაზიდვების საერთაშორისოდ დადგენილ ნორმებს და სტანდარტებს, რომლებიც საწყისია ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ და შემდგომ უკვე საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებისათვის. უკანასკნელ პერიოდში, კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო გადაზიდვა სახელმწიფოსათვის არის მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი, რომელიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ კონკურენტუნარიანი გახდა.

საერთაშორისო გადაზიდვებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები, (ინკოტერმსი), რომელთა საფუძველზე განისაზღვრება საქონლის ყიდვა გაყიდვის ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები საქონელბრუნვის სხვადასხვა ეტაპზე (მიმწოდებლის საწყობიდან - მიმღების საწყობამდე), აგრეთვე გამყიდველსა და მყიდველს შორის სატრანსპორტო და სხვა თანამდევი ხარჯების განაწილების წესი, რისკის გადაცემის მომენტი და პასუხისმგებლობა გადაზიდვის დროს საქონლის განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში.

აქვე შევნიშნავდით, რომ, „მიუხედავად იმისა, რომ ინკოტერმსი არაერთხელ არის დაზუსტებული და კორექტირებული, პრაქტიკაში დღემდე გვხვდება ინკოტერმსის ტერმინების განსხვავებული გაგება. განსაკუთრებით ხშირია, ინკოტერმსის არასწორად გაგების სამი ვარიანტი: **ა**. ინკოტერმსი უფრო მეტად უკავშირდება ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებას, ვიდრე გადაზიდვის ხელშეკრულებას; **ბ**. მცდარად მიიჩნევა, რომ ინკოტერმსის ტერმინები უნდა მოიცავდეს ხეშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და **გ**. ინკოტერმსის ტერმინები მიიჩნევა გადაზიდვის ხელშეკრულებად". მიუხედავად იმისა, რომ ინკოტერმსის მიზანია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა, მასში საერთოდ არ შედის ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. უფრო მეტიც, ინკოტერმსი საერთოდ არ ეხება ხელშეკრულების დარღვევასა და ასეთი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხებს. ეს საკითხები რეგულირდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესებით. ინკოტერმსთან დაკავშირებით, გამოვთქვამდით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ინკოტერმსის წესები არ ეხება საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის წესებს და აღნიშნული პროცედურების ერთიანი წესები ვერც გაეროს „საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ" კონვენციით შემუშავდა. ასევე, ინკოტერმსი არც ხელშეკრულების შეუსრულებლობასათან დაკავშირებულ გამოწვევებს ეხება, რაც ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებთან იქნებოდა დაკავშირებული და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, გადაზიდვებს საკმაოდ ხშირად უკავშირებენ სავაჭრო გარიგებებს, და პირიქითაც. კერძოდ კი, სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობისთვის აუცილებელია ქვეყანაში აქტიურად წარმოებდეს ექსპორტ-იმპორტი, როგორც

განვითარებული ისე რეგულირებული იყოს სავაჭრო სისტემები და გადაადგილება/მიწოდების საბაზისო პირობები.
ცხადია, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოწესრიგებული და სამართლებრივად გამართული გადაზიდვების სისტემის არსებობას, ვინაიდან, აღნიშნულის გარეშე, სახელმწიფო არამხოლოდ შიდასამართლებრივად(ეკონომიკური თვალსაზრისით) იზარალებს, არამედ პირდაპირ მოახდენს გავლენას მსოფლიო სავაჭრო სფეროში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაზე. ცხადია ისიც, რომ აღნიშნული პროცესების სრულყოფა სახელმწიფოს სრულად უწყობს ხელს საერთაშორისო გადაზიდვების პროცესში საბაჟო და სხვა სახის პროცედურული წინააღმდეგობების დაძლევაში.
**საკვანძო სიტყვები:** ტრანსნაციონალური გადაზიდვები; TIR - კარნეტი; ATA-კარნეტი; IMO; ინკოტერმსი; „ჰამბურგის წესები“; ტაიმ-ჩარტერი; ბერბოუტ-ჩარტერი; TRACECA; ICAO; და IATA; CPD-კარნეტი; ანაკლიის პორტი.

## International and Domestic Legal Regulation of International Shipping

**Ia Kharazi,** Affiliate Professor at the Sokhumi State University, Invited Professor at David Aghmashenebeli University of Georgia and Akaki Tsereteli State University of Kutaisi

In the 21st century, the era of technological development, it is very difficult and almost inconceivable to imagine a world without the regulation of international cargo transportation. Each state that wishes to be part of the civilized, democratic world adheres to internationally established norms and standards for transportation, which serve as the foundation for the country's internal development and subsequently for its success on the international stage.
Recently, it has become even more evident that international shipping is a profit-driven business for the state, which has become highly competitive over the past two decades.
A significant role in international shipping is played by the basic terms for the supply of goods developed by the International Chamber of Commerce (Incoterms), based on which the obligations of the parties in a sale and purchase contract are determined at various stages of the goods' movement (from the supplier's warehouse to the buyer's warehouse). These terms also outline the allocation of transport and other related costs, the moment of risk transfer, and the responsibility for the destruction or damage of goods during transport.
It should be noted that "although Incoterms have been clarified and revised several times, in practice there are still cases of misunderstanding of Incoterms terms. Misunderstandings often occur when Incoterms are incorrectly linked to sale-purchase contracts rather than to shipping contracts. It is mistakenly believed that Incoterms terms should cover all matters related to the sale contract, and that Incoterms terms are considered part of the shipping contract. While the purpose of Incoterms is to ensure the performance of the sale and purchase contract, it does not cover a range of issues related to the execution of that contract. Moreover, Incoterms does not address issues related to breach of contract or the release of liability for such breaches. Regarding Incoterms, it can be argued that Incoterms rules do not concern the transfer of ownership rights to goods, and the unified procedures for these processes have not been developed even under the UN "Convention on International Sales of Goods." Also, Incoterms do not address issues related to breaches of contract, which would be linked to legal consequences of non-performance of obligations, etc."
In scientific literature, shipping is often associated with trade transactions, and vice versa. Specifically, for a state's economic growth, it is essential for the country to actively engage in

export and import activities, with a regulated and well-functioning trade system and basic terms of movement/supply.
Clearly, the existence of an organized and legally sound shipping system is of utmost importance because, without it, a state not only suffers domestically (in economic terms) but also directly affects its competitiveness in the global trade sphere. It is equally clear that the improvement of these processes fully supports the state in overcoming customs and other procedural obstacles in the process of international shipping.

## რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა და მისი სამართლებრივი შედეგები

**მერი კეთილაძე,** სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი, სხვა მრავალ სიახლესთან ერთად, რეაბილიტაციის გეგმის წარდგენის ახლებურ მოწესრიგებას ადგენს.
რეაბილიტაციის რეჟიმის მიზანს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება წარმოადგენს. შესაბამისად, რეაბილიტაციის განხორციელებისათვის, საჭიროა გეგმის არსებობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელთა გადაჭრაც უზრუნველყოფს მოვალის ფინანსური პრობლემების აღმოფხვრას. ნაშრომი შექმნილია მოქმედი და წინამორბედი კანონის ანალიზის საფუძველზე. მასში განხილულია რეაბილიტაციის გეგმის მომზადებაზე უფლებამოსილი პირთა წრე, მხარეთა ინტერესების თანაბარუფლებიანობა, რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონება კრედიტორთა მიერ, რეაბილიტაციის გეგმის კენჭისყრა, მისი სამართლებრივი შედეგები და სხვ.

## Submission of a Rehabilitation Plan and Its Legal Consequences

**Meri Ketiladze -** Doctor of Law, Lecturer, School of Law,
Caucasus International University

The Law on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors, among many other innovations, provides a new regulation for the submission of a rehabilitation plan.
The purpose of the rehabilitation regime is the approval of the rehabilitation plan.
Therefor, in order to implement the rehabilitation, it is necessary to have an appropriate plan, which should include all the issues, the solution of which ensures the elimination of the debtor's financial problems.
The work is based on an analysis of the current and previous law. It discusses the circle of persons authorized to prepare a rehabilitation plan, the equality of interests of the parties, the approval of a draft of rehabilitation plan by creditors, voting on the rehabilitation plan, its legal consequences, etc.

# ზოგიერთი მოსაზრება თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით

**არჩილ ლორია,** სამართლის დოქტორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ზოგადად კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია და პირდაპირ გამოხატავს ხელისუფლების დამოკიდებულებას დემოკრატიული პრინციპებისადმი. მართალია, კანონმდებლობა სისტემატურად იხვეწებოდეს და ვითარდებოდეს ჰუმანური იდეების აღიარების თვალსაზრისით, მაგრამ კონსტიტუციასთან მიმართებით ცოტა სხვაგვარადაა საქმე. კერძოდ, ძირითადი კანონი, განსაზღვრავს რა ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და ამოსავალ დებულებებს, სასურველია იყოს შედარებით მყარი, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობა და დემოკრატიული განვითარების დინამიურობა. სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუცია დიდი სიმყარით ვერ გამოირჩევა და მიღებიდან დღემდე არცთუ ისე ხანგრძლივ პერიოდში არაერთი ცვლილება განიცადა. ბოლო არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა 2018 წლის მიწურულს. ცვლილებები შეეხო ადამიანის უფლებების ამსახველ მეორე თავსაც.

ამჟამად შევჩერდები პირადი თავისუფლების საკითხზე. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე რედაქციის მე-18 მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, რაც არასწორი იყო, რადგან ამავე მუხლის დანარჩენი პუნქტები ეთმობოდა თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობებსა და პირობებს. ამ საკითხზე ადრე გამოთქმული ჩემი შენიშვნები გაიზიარა კანონმდებელმა და ამჟამინდელი რედაქციის მე-13 მუხლის 1 პუნქტში ჩაიწერა, რომ ადამიანის თავისუფლება დაცულია, ხოლო მითითება ხელშეუვალობის შესახებ ამოღებულ იქნა, რითაც გასწორდა არსებული უზუსტობა.

სამწუხაროდ, თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემა კვლავ დარჩა. საქმე ისაა, რომ ცვლილებებამდე ტექსტის მე-14 მუხლში სავსებით გამართლებულად იყო აღიარებული, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე. რა თქმა უნდა, თავისუფლება ადამიანისთვის დამახასიათებელი აუცილებელი და ადამიანურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ატრიბუტია. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოვთქვამდი მოსაზრებას, რომ ამგვარი დათქმისათვის შეუთავსებელია პასუხისმგებლობის ისეთი სახის არსებობა, როგორიცაა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რადგან იგი ფაქტობრივად ადამიანობაზე უარის თქმას ნიშნავს, რის უფლებაც ხელისუფლებას არ აქვს. გულდასაწყვეტია, რომ კონსტიტუციის ამჟამინდელ რედაქციაში აღარაა მინიშნება თავისუფლების როგორც თანდაყოლილი, ბუნებითი უფლების თაობაზე, რაც გარკვეულწილად შეაფერხებს კანონმდებლობის დემოკრატიულ გზით განვითარებას.

განხილული პრობლემის დაძლევის მიზნით, სასურველია, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში კვლავ აღდგენილი იქნას ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია. ხოლო ამ მინიშნების საფუძველზე კი გაუქმდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა. ასეთი მიდგომა უფრო ჰუმანურს გახდის ქვეყნის კანონმდებლობას და ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა უკეთ დაცვას, რაც უნდა იყოს დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ამოცანა.

**საკვანძო სიტყვები:** დაბადება, თავისუფლება, თანასწორობა, შეზღუდვა, ჩამორთმევა

# Some opinions on the issue of freedom

**Archil Loria,** Doctor of Law,
Professor at Tbilisi Humanitarian Teaching University

In general, the Constitution is the basic law of the country and directly expresses the government's attitude to democratic principles. Although legislation should be systematically improved and developed in terms of recognizing humane ideas, the situation is somewhat different with the Constitution. In particular, the Basic Law, which defines the vital and fundamental provisions of the country, should be relatively strong in order to ensure the stability of public life and the dynamism of democratic development. Unfortunately, the Constitution of Georgia is not particularly strong and has undergone a number of changes in a relatively short period of time since its adoption. The last significant changes were made at the end of 2018. The changes also affected the second chapter, which reflects human rights.

I will now dwell on the issue of personal freedom. Article 18, paragraph 1 of the pre-2018 version of the Constitution of Georgia stated that human freedom is inviolable, which was incorrect, since the remaining paragraphs of the same article were devoted to the possibilities and conditions for restricting freedom. The legislator shared my earlier remarks on this issue and the current version of Article 13, paragraph 1 stated that human freedom is protected, and the reference to inviolability was removed, thus correcting the existing inaccuracy.

Unfortunately, a certain problem still remains with the issue of freedom. The fact is that before the amendments, Article 14 of the text quite rightly recognized that all people are born free and equal before the law. Of course, freedom is one of the essential and defining properties of human nature. Taking into account the above, I would express the opinion that the existence of such a form of responsibility as life imprisonment is incompatible with such a reservation, since it actually means a denial of humanity, which the government has no right to do. It is disappointing that the current version of the Constitution no longer refers to freedom as an inalienable, natural right, which to a certain extent will hinder the development of legislation in a democratic manner.

To overcome the problem under discussion, it is desirable to restore the entry in the text of the Constitution of Georgia that all people are born free. And based on this hint, life imprisonment should be abolished. Such an approach will make the country's legislation more humane and will contribute to better protection of human rights, which should be the main task of a democratic state.

**Keywords**: birth, freedom, equality, limitation, deprivation

# ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები. პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემები (ქართულ-გერმანული კვლევა)

**თამარ ჩიტოშვილი,** სამართლის დოქტორი, პროფესორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ნაშრომი ეხება საბინაო სამართლებრივ ურთიერთობებს, კონკრეტულად კი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებსა (ბმა) და მასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს.
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, რომელთა შექმნას საფუძველი ჩაეყარა ძირითადად პრივატიზაციის განხორციელების შედეგებით, წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს. მათი სამართლებრივი მოწესრიგების მცდელობა მოხდა თავდაპირველად სს კოდექსის 208-2032 მუხლებით (სს კოდექსის მეოთხე თავი: „ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში). თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული ნორმები არ იყო საკმარისი. შესაბამისად საჭირო გახდა ახალი, სპეციალური კანონის მიღება, რომელიც უფრო დეტალურად მოაწესრიგებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამიტომაც 2007 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ და გაუქმდა სს კოდექსის მითითებული ნორმები.
ნაშრომში განხილულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სტატუსს, როგორც სამართალსუბიექტსა და მომხმარებელს; მისი კუთვნილი ქონების სახეებს, ქონების მართვის მეთოდებსა და წესებს; ბმა-ის სახელწოდებასა და რეგისტრაციის წესებს; ასევე, ამხანაგობის საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმების წესებს; ბმა-ის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს, მის პასუხისმგებლობას და ა.შ. დეტალურად არის განხილული მითითებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმების საკანონმდებლო ხარვეზები და მის საფუძველზე პრაქტიკაში დამდგარი უარყოფითი შედეგები, რომლებიც ხშირად დავის საფუძველი და სასამართლო განხილვის საგანია.
ყველა ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა და ანალიზი ნაშრომში მოცემულია შედარებითი კვლევის მეთოდით, გერმანული კანონმდებლობისა და სასამართლო გამოცდილების საფუძველზე. განხილულია გფრ-ის კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებული სახით მიღებულ იქნა 1951 წელს და მას შემდეგ კიდევ ბევრჯერ განხორციელდა ამ კანონის ცვლილებები, პრაქტიკის ანალიზის გათვალისწინებით.
პრობლემური საკითხების უკეთ მოწესრიგების მიზნით ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების მიზანშეწონილობის შესახებ, რაც არსებითად შეამცირებს სასამართლო პრაქტიკაში არსებული დავების რიცხვსა და უკეთესად იქნება დაცული ბმა-ის წევრთა უფლებები და მოვალეობები.

## Homeowners' associations. Practical and legislative problems (Georgian-German study)

**Tamar Chitoshvili,** Doctor of Law, Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law; Yakob Gogebashvili Telavi State University; Davit Agmashenebeli University of Georgia

The paper addresses the housing law relations, specifically the homeowners' associations (HOA) and related theoretical and practical problems.
The homeowners' associations, the foundation of which was laid mainly by the results of privatization, represent a certain novelty. An attempt of its legal regulation was initially made by Articles 208-2032 of the Civil Code (Chapter four (IV) of the Law of Georgia: "Ownership of apartment in an apartment building"). However, the practice showed that these norms were not enough. Accordingly, it became necessary to adopt a new, special law, which would regulate the existing legal relations related to the homeowners' association in more detail. Therefore, in 2007, the Law of Georgia on Homeowners' Association was adopted and the specified norms of the Civil Code of Georgia were repealed.
The paper discusses the issues related to: the status of the homeowners' association as a legal entity and user; the types of property owned, property management methods and rules; HOA's name and registration rules; also, the rules for formalizing the decisions made at the general meeting of the association; the rights and duties of the Chairman of HOA, his/her responsibilities, etc.; the legal shortcomings of the regulatory norms of the specified issues and, based on them, the negative results reflected in practice are discussed in detail, which are often the basis for disputes and the subject of judicial proceedings.
Discussion and analysis of all the above-mentioned issues is provided in the paper by the method of comparative research, based on German legislation and judicial experience. The Law of Federal Republic of Germany (FRG) on Homeowners' Association, which was adopted in its established form in 1951 and since then has been amended many times taking into account the analysis of practice, is discussed.
In order to better regulate the problematic issues, the paper provides the recommendations on the expediency of legislative changes, which will significantly reduce the number of disputes in court practice, moreover, the rights and duties of members of the homeowners' association will be better protected.

## The recognition of judgments in civil and commercial matters (EU law)

**Andreea Tabacu**, PhD Assistant Professor, Faculty of Economic Sciences and Law, UNST "POLITEHNICA", Bucharest, **Romania**

One of the forms of judicial cooperation between the member states of the European Union is the recognition and execution of judgments rendered in other states, regulated by Regulation 2012/1215 of the European Parliament and of the Council, which, beyond the directives it imposes, leaves to the discretion of the member states the regulation of the procedures and the competent courts involved in such recognition procedures.

Only the reasons for refusal are imposed by the regulation, otherwise, no special conditions are imposed, and no proof of reciprocity is required. Here, the member states, even if they must apply the autonomous meaning of the terms used and the rules of the regulation, refer in their

jurisprudence to the meaning given to them in domestic law or to the conditions imposed by domestic law, which can lead to the incorrect application of the European norm.

**Keywords:** judicial cooperation, recognition of judgments, civil and commercial matters, reasons for refusal of recognition, national jurisprudence

## New international instruments to protect human rights against the negative effects of the use of AI

**Andra Puran**
Lecturer PhD, The National University of Science and Technology POLITEHNICA Bucharest, Pitești University Centre, Faculty of Economic Sciences and Law, **Romania**,

Today we are witnessing a spectacular acceleration of the use of AI in any field of life, use with numerous benefits for humanity but also generating various negative effects or even dangers. Artificial intelligence asserts itself as "*the most powerful and fastest technological revolution in history*". In this context, it is necessary to adapt the normative framework, both at international and national level, to the context and requirements of the AI phenomenon, through the development and even transformation of traditional legal institutions and concepts.

In an era of new technologies and digitization, it is undeniable that artificial intelligence has made its subtle but indispensable way into all aspects of our lives, generating both undeniable positive effects for humanity, but also negative effects.

Artificial intelligence and its effects on humanity represent the topics of interest of the moment, being today at the point where we have to adapt our entire legal system to this reality.

The main international actors in the field of fundamental rights have not hesitated in the face of this new challenge of technological progress and have acted to guarantee fundamental rights, ensuring that they are strengthened and not undermined by artificial intelligence.

**Keywords:** human rights, international framework, artificial intelligence, negative effects

## Legal Regulation of Competition on the EU`s Single Market and in Ukraine

**Valentyna Lukianets-Shakhova,** candidate of the legal sciences, professor, assistant to the rector for gender issues, professor of the Department of Constitutional Law and Human Rights of the National Academy of Internal Affairs, **Kyiv, Ukraine**

Competition law is a crucial instrument in ensuring fair trade, economic efficiency and consumer welfare. This thesis explores the legal regulation of competition in the Single Market of the European Union (EU) and Ukraine, analyzing their similarities, differences, and the impact of European integration on Ukrainian competition policy. The research investigates the fundamental principles, regulatory frameworks, and enforcement mechanisms applied in both jurisdictions, providing insights into the convergence of Ukrainian legislation with EU standards.

Competition law is a fundamental component of a market economy, designed to foster efficiency, innovation, and consumer protection. By preventing anti-competitive practices, such as cartels and monopolistic dominance, competition law ensures that markets remain

open, dynamic, and fair. Consumer protection is a critical aspect of competition law. By eliminating unfair trade practices and ensuring transparency, consumers benefit from greater choice, fair prices, and better services. The role of competition law in preventing monopolistic practices is essential for maintaining economic stability. Unchecked monopolies can lead to market distortions, price fixing, and reduced incentives for innovation. Regulatory mechanisms help curb these tendencies and promote a level playing field for businesses.

This study aims to identify and analyze key research questions related to competition law in the EU and Ukraine, assessing their effectiveness and alignment with global best practices. A key focus is to explore the impact of EU regulations on Ukraine's competition framework, particularly in light of the EU-Ukraine Association Agreement. This includes examining legislative adaptations, enforcement mechanisms, and economic implications for Ukrainian businesses and consumers.

## არასრულწლოვანთა სქესობრივი ხელშეუხებლობის საკითხებზე მართლმსაჯულების პრობლემური ასპექტები

**ლალი ფაფიაშვილი,** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე
პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირის ღირსების და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებით. წევრ-სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ბავშვთა[1] უფლებების ეფექტურად დაცვა მათი საუკეთესო ინტერესების და ბავშვთა განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით[2].

„ბავშვის უფლებების შესახებ" გაეროს კონვენცია[3], 2011/93/EU დირექტივა „ბავშვთა სქესობრივი ძალადობის და ექსპლუატაციის აღკვეთის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ"[4], „ბავშვთა სქესობრივი ექსპლუატაციისა და სქესობრივი ძალადობისგან დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია[5], „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია", ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი[6], სქესობრივი ძალადობის და ექსპლუატაციისგან არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან[7] ერთად, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს ძალადობისგან ბავშვთა დასაცავად.

---

[1] C.A.S. and C.S. v Romania, no. 26692/05, par. ECtHR, 20/03/2012

[2] *იხ. A and B v. Croatia, no. 7144/15, §111, ECtHR, 20/06/2019; M.M.B. v. Slovakia, no.6318/17, §61, ECtHR,26/11/2019*

[3] UN Convention on the Rights of the Child, Gen. Assembly Res. 44/25, 20/11/1989

[4] Directive 2011/93/EU, "Combating the Sexual Abuse and Sexual Exploitation of Children and Child Pornography", and replacing Council Framework Decision 2004/68/JHA, 13/12/2011

[5] Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse CETS 201, Lanzarote, 25/10/2007.

[6] მაგ. X. and Others v. Bulgaria, no. 22457/16 [GC], [2021], ECtHR, 179, 192.

[7] მაგ., Resolution 1307(2002), Sexual exploitation of children: Zero Tolerance, 27/09/2002; Rec( 2001)16, Protection of Children Against Sexual Exploitation, 31/10/2001; Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of

საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონმა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად აღიარა სექსუალური შევიწროვება, ხოლო 2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 166[1] მუხლი, რომელმაც დაადგინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სექსუალური შევიწროვებისთვის. იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ შორის არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულისთვის, მათ შორის გარყვნილი ქმედებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბავშვის დაზარალებულად ცნობის მაჩვენებლი, მაინც კვლავაც გამოწვევად რჩება ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობის შემთხვევების არა მხოლოდ თავიდან არიდება და დროული გამოვლენა, არამედ რიგ შემთხვევებში მართლმსაჯულების ჯეროვნად და ეფექტიანად განხორციელებაც.

მოქმედი სასამართლო პრაქტიკა და კანონმდელობაც ეყრდნობა ე.წ. 4 P-ს პრინციპს, თუმცა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცალსახად ცხადყოფს საკითხისადმი დუალისტურ მიდგომას. კერძოდ, არსებითად ერთიდაიგივე ხასიათის ქმედებებისთვის ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ხოლო მეორე შემთხვევაში - ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სექსუალური შევიწროვებისთვის. დამატებით სირთულეს ქმნის ისიც, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით, არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებიდან გამომდინარე, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოს განაჩენები არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის (ქვეყნდება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი). აღნიშნული განაჩენები არ ხვდება არც სხვადასხვა სტრუქტურების მიერ ჩატარებულ კვლევებში, რაც იწვევს სასამართლო პრაქტიკის შესახებ არამხოლოდ არასრული, არამედ არსებითად არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და ხელს უწყობს არასწორი მიდგომების თუ პრაქტიკის დამკვიდრებას.

სტატიაში განხილულია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროვების ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულირების მექანიზმები, ქართული კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური შევიწროვების და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, სექსუალური შევიწროვების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევის შემდეგ ნორმის პრაქტიკაში გამოყენების, სექსუალური შევიწროვების ფაქტების გამოვლენის და აღნიშნულ შემთხვევებზე მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი რეულირების მექანიზმების ურთიერთმიმართება, საჯარო სივრცეში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ქმედებების სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემა. ასევე - გამოთქმულია კონკრეტული მოსაზრებები როგორც კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე.

***საკვანძო სიტყვა:*** არასრულწლოვნები, სექსუალური შევიწროვება, სქესობრივი ხელშეუხებლობა

---

Victims of Crime, 25/10/2012, OJ 2012 L 315/55; UN Guidelines on Justice in Matters Involving Child Victims or Witnesses of Crime, ECOSOC, 22/07/2005, E/RES/2005/20; European Social Charter, ETS No.035.

# საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების მეთოდების სამართლებრივი ასპექტები

**ნიკა დუდაშვილი,** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

იშვიათობას წარმოადგენს საქართველოში ისეთი კანონი რომელზეც ბევრს არ საუბრობენ მაგრამ ამვდროულად მასზე ყველაზე ცოტაა ნათქვამი, ასეთი კი საქართველოს კონსტიტუციაა. „მიუხედავათ იმისა, რომ კონსტიტუცია, ყველა სხვა კანონთან შედარებით, ალბათ, ყველაზე უფრო ახლოს დგას ხალხთან, როგორც ხელისუფლების წყაროსთან, ის მაინც იურისტების ქმნილებად რჩება და მის სწორედ წაკითხვას ფილიგრანული იურიდიული ტექნიკა სჭირდება.“[8]

ორ საუკუნეზე მეტია გასული, რაც მსოფლიოში მყარად მოიკიდა ფეხი კონსტიტუციის დაცვის ინსტიტუტმა საკონსტიტუციო კონტროლისა თუ ზედამხედველობის ფორმით. საქართველოში ამ ინსტიტუციას სახელმწიფოს პირველი კონსტიტუცია არ ცნობდა, მან ადგილი უკვე საკმაოდ გვიან 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში დაიკავა, რასაც მოჰყვა 1996 წელს უკვე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის - საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, ძალაუფლების გამიჯვნის და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლებო სტაბილურობის განმტკიცებისათვის.

არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები საკანონმდებლო ორგანოებზე მაღლა დგანან თავიანთი სტატუსიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ამ მოსაზრებას აბსოლიტურად ვეთანხმები, მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს რამდენიმე სახელმწიფო ორგანო, რომლებსაც კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება აქვთ, მაგრამ მაინც არცერთი მათგანი არ არის ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მიზნის მატარებელი, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა.

ნაშრომის მიზანია მოხდეს კონსტიტუციის, როგორც განმარტების ობიექტის მიმართ არსებული სამართლებრივი რეჟიმის ანალიზი, მისი ინტერპრეტაციის მეთოდებისა და პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა განხილვა, ასევე იმ ძირითადი სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების გამოკვეთა, რომლებიც თან ახლავს კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის პროცესს და რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ პროცესებზე. ბლანკენაგელის განმარტებით, "საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ.[9]

---

[8] ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა; პაპუაშვილი შ., წინასიტყვაობა; თბილისი 2013, 15

[9] გეწაძეგ., საკონსტიტუციოკონტროლისფორმებიდასახეები, ჟურნ. "ადამიანიდაკონსტიტუცია" №1 1998. გვ 24 დაწვრილებითიხ. გეგენავად., საკონსტიტუციომართლმსაჯულებასაქართველოში: სამართალწარმოებისძირითადისისტემურიპრობლემები. თბილისი, 2012, 12

კონსტიტუციის დამცველი ორგანოების დღიეს მდგომარეობით დიდ გავლენას ახდენენ ქვეყანაში დემოკრატიულობის დამყარების თვალსაზრისით, რომელიც თავის თავში კანონის უზენაესობის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და ამ კანონის ნორმის განმარტებაში გაოიხატება.

საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებს ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისგან იცავს.

## Legal aspects of the methods of interpration of the norm by the Constitutional Court

**Nika Dudashvili,** Affiliated Associate Professor at Tbilisi Humanitarian Teaching University

It is very rare finding a law in Georgia that is not said much more, but in modern period is least said about him. Such is the constitution of Georgia. „Despite those fact that, constitution of Georgia, compared to other laws, stands to closest to people, as to the main source of government, it still remains the main creation of lawers and its reading requires a filigree legal techniques.[10]"

More than two centuries has gone, since the institution of constitutional protection in the forms of constitutional control or supervision has gained its foothold. The first constitution in Georgia had not recognized this institution, but later in the constitution adopted in 24 August, 1995 its place and role were determined, which was followed the creation of constitutional court in 1996. The constitutional court of Georgia is the juridical authority of constitutional control, which has a great importance in the forms of ensuring the fulfilling requirements of constitutional norms, the separation of power and its implementation which are established within the framework of constitution, the protection of human rights and main freedom which are recognized and guaranteed under the constitution, and the strengthening of the stability of state.

There exists opinion that constitutional control, according to its status and functions, stands over the legislative bodies. I absolutely agree this opinion, despite those fact that there exist several state agencies who has the authority the reviewing laws and by-laws in compliance with constitutions, but none of them carries such a great state goal as the constitutional court have.

The interpretation of constitutions is a constant walk on the edge between politics and law, because it is very difficult taking one side or another. Despite those facts that the role of law is very important in the process of defining constitutional norms, the interpreter cannot escape the strongly invaded political aspects, which makes the process of determining the objective meaning of the norms very difficult.

---

[10] Tugushi T., Burhanadze G., Mshvenieradze G., Gotsiridze G, Menabde V.: "Human Rights and the juridical practice of Constitutional Court of Georgia" Papuashvili Sh., Foreword; Tbilisi 2013, 15

According Blankengel “Constitutional control is an activity whose aim is overcoming the constitutional conflicts and for the separation of powers[11].” The state bodies, who are responsible for protecting constitution, has a great influence for establishing democracy in the country. All these are reflected in the protection of human rights and freedoms and the interpretation of this legal norm.

The constitutional court, on the one hand, ensuring the effectviveness of mechanism balancing, checking and balancing between government branches and on the other hand those constitutional guaranteed human rights and freedoms from unjustified interference by the govenrmnent.

## წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის უარყოფა და სამართლიანი სასამართლოს უფლება: ავტომატური დარღვევა თუ კონტექსტუალური შეფასება?

**სალომე ვარდოშვილი,** სამართლის ბაკალავრი, პარიზის პანთეონ ასსასის უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ლია ჭიღლაშვილი,** სამართლის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ბოლო წლებში სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი ხომ არ ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება ეროვნული სასამართლოების მიერ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენებაზე უარის თქმით. ბოლო პერიოდში ევროკავშირის კანონმდებლობის ერთი მხრივ დეტალიზაციის და კომპლექსურობის და მეორე მხრივ - ევროკავშირის სამართლის ინტეგრაციის მზარდი ტენდენციის ფონზე, სულ უფრო კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ სასამართლოებსა და ევროპის სასამართლოს (CJEU) შორის სასამართლო დიალოგს, განსაკუთრებით ინდივიდუალური უფლებების დაცვის კონტექსტში.

აღნიშნული საკითხი ბოლო პერიოდში არაერთხელ გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) განხილვის საგანიც. კერძოდ, სასამართლომ არაერთხელ განიხილა, არღვევს თუ არა ეროვნულ სასამართლოთა მიერ **TFEU-ის 267-ე მუხლის** ფარგლებში წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაზე უარის თქმა **ECHR-ის მე-6 მუხლით** დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. აქ ისმის ძირითადი კითხვა: უნდა ჩაითვალოს თუ არა გამართლების გარეშე უარის თქმა ავტომატურ დარღვევად, თუ უნდა შეფასდეს, რა ზეგავლენა იქონია ამ გადაწყვეტილებამ განმცხადებლის უფლებებზე?

ევროკავშირის სამართალი განასხვავებს, ეროვნული სასამართლოების მიერ CJEU-ს მიმართვის დისკრეციასა და ვალდებულებას. ბოლო ინსტანციის სასამართლოები, როგორც წესი, გამონაკლისი შემთხვევების (*acte clair* ან *acte éclairé*) გარდა, ვალდებულნი არიან მიმართონ აღნიშნულ პროცედურას. ევროპულმა სასამართლომ *Ullens de Schooten v. Belgium* (2011) და *Dhahbi v. Italy* (2014) საქმეებზე აღნიშნა, რომ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაზე ეროვნული სასამართლოს უარის **დაუსაბუთებლობა** არღვევს მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.

[11] Getsadze G. – “The forms and types of constitutional control”. Journal “People and constitution” N1, 1998, pg. 24. For more details see: Gegenava D., “Constitutional Justice in Georgia: main systematic **problems of litigation “Tbilisi, 2012, 12**

სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს ერთმევა შესაძლებლობა შეამოწმოს, იყო თუ არა მისი საქმე სამართლიანად განხილული.

თუმცა, CJEU-სთვის მიმართვაზე ეროვნული სასამართლოების უარის დაუსაბუთებლობისადმი ხისტმა მიდგომამ და ასეთი უარის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ ავტომატურად მიჩნევამ, გამოიწვიოს საკითხისადმი ფორმალური მიდგომა იმის გათვალისწინების გარეშე იქონია თუ არა აღნიშნულმა რეალურად ნეგატიური გავლენა კონკრეტული მოსარჩელის უფლებებზე. მაგალითად, *Schipani v. Italy* (2015) საქმეში ECtHR-მა აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ CJEU-სთვის მიმართვაზე უარის დაუსაბუთებლობა პრობლემურია, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საკითხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს და მნიშვნელოვანია კონკრეტული კონტექსტი. თუ ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (CJEU-სთვის მიმართვაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობის მიუხედავად) შეესაბამება ევროკავშირის სამართლებრივ პრეცედენტს, შესაძლოა დარღვევა არ ჩაითვალოს არსებითად მნიშვნელოვანად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავოა: მოცემულ კონტექსტში სამართლიანი სასამართლოს უფლება განხილული უნდა იყოს მხოლოდ პროცედურულ უფლებად, რომელიც ადგენს CJEU-სთვის მიმართვაზე ეროვნული სასამართლოების უარის დასაბუთებას ვალდებულებას მიღებული გადაწყვეტილების **შედეგის მიუხედავად**, თუ განხილული უნდა იქნეს არსებითად - უნდა შეფასდეს შინაარსობრივი კუთხით, გამოიწვია თუ არა CJEU-სთვის მიმართვაზე ეროვნული სასამართლოების უარმა **განმცხადებლის უფლებების არსებითი დარღვევა**? პირველი მიდგომა აძლიერებს სასამართლოების ანგარიშვალდებულებას, მაგრამ შეიძლება ზედმეტად ფორმალისტური იყოს, მაშინ როცა მეორე მიდგომა მეტ მოქნილობას იძლევა, მაგრამ შესაძლოა შეასუსტოს აღსრულების ეფექტიანობა.

ნაშრომში საკითხის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოს ურთიერთმიმართებაზე, განსახილველი რეგულაციით დადგენილი ვალდებულების შინაარსის და ფარგლების სხვადასხვა მეთოდებით განმარტების გავლენა სასამართლოს ანგარიშვალდებულებისა და ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე.

***საკვანძო სიტყვები:*** სამართლიანი სასამართლო, წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურა

## Refusal to Request a Preliminary Ruling and the Right to a Fair Trial: Automatic Violation or Contextual Assessment?

**Salome Vardoshvili,** Bachelor in Law, Université Panthéone Assas Paris.
Student, Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Coordinator: Lia Chiglashvili, Doctor of Law, Professor,
Tbilisi Humanitarian Teaching University

In recent years, the question of whether national courts' refusals to request preliminary rulings violate the right to a fair trial has gained increasing relevance. As EU law becomes

more complex and integrated, ensuring judicial dialogue between national courts and the CJEU is more critical than ever, particularly in safeguarding individuals' legal protections.

The European Court of Human Rights (ECtHR) has repeatedly examined whether a national court's refusal to request a preliminary ruling under Article 267 TFEU violates the right to a fair trial under Article 6 of the European Convention on Human Rights (ECHR). A key question arises: should the mere absence of justification for such a refusal automatically constitute a violation, or should the court assess the severity of the impact on the applicant's rights?

EU law distinguishes between the discretion and obligation of national courts to refer questions to the Court of Justice of the European Union (CJEU). Last-instance courts are generally required to refer unless an exception applies (acte clair or acte éclairé). The ECtHR has ruled in cases such as *Ullens de Schooten v. Belgium* (2011) and *Dhahbi v. Italy* (2014) that failing to justify a refusal to refer can breach Article 6 ECHR. The reasoning is that without justification, a litigant cannot verify whether their case was fairly considered.

However, a stricter approach to automatic violations may overlook the actual impact on the applicant's rights. In *Schipani v. Italy* (2015), the ECtHR acknowledged that the absence of justification is problematic but suggested that the context should matter. If the refusal had no substantive impact—such as when the national court's interpretation aligned with CJEU case law—the violation might be less severe or even absent.

This leads to a fundamental tension: should the right to a fair trial be procedural, ensuring that courts provide justifications regardless of the outcome, or substantive, focusing on whether the lack of referral deprived the applicant of meaningful legal protection? A strict procedural approach strengthens judicial accountability but risks formalism, while a substantive approach allows flexibility but could weaken enforcement.

In this article, these issues will be examined by analyzing ECtHR case law, the interplay between EU and ECHR legal frameworks, and the implications of different interpretative approaches for judicial accountability and individual rights.

***Key words:*** preliminary ruling, fair trial, CJEU

# ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი - Economy, Business and Tourism

## Digitalization in Georgia and Its Impact on the Labor Market

**Nona Gelitashvili** Affiliated Professor, Tbilisi Humanitarian Teaching University

The digital transformation is reshaping economies and societies globally, with profound implications for labor markets. In Georgia, digitalization is increasingly influencing employment patterns, skill requirements, and business practices. This abstract examines the interplay between digitalization and the labor market in Georgia, focusing on emerging trends, challenges, and opportunities.

Key areas of analysis include the rise of automation and artificial intelligence in various sectors, the digital skills gap among the workforce, and the growth of digital platforms facilitating remote work and gig economy opportunities. While digitalization promises increased efficiency and new job creation, it also poses challenges such as job displacement in traditional sectors and unequal access to digital tools and education.

Special attention is given to the role of small and medium enterprises (SMEs) in adopting digital technologies and their impact on employment dynamics. The analysis also explores how international partnerships, particularly with the European Union, support Georgia's efforts to align its labor market with the demands of the digital age through initiatives like the Global Gateway and vocational training programs.

This presentation underscores the importance of a holistic approach to digital transformation, ensuring that policies address the digital divide and foster an inclusive labor market. By aligning education and training systems with future labor demands and leveraging international support, Georgia can navigate the challenges of digitalization while maximizing its potential to create sustainable and equitable economic opportunities.

This research aims to provide a foundation for discussing strategies to harness digitalization for labor market resilience and sustainable growth.

**Key words:** Digital Transformation, Small and Medium Enterprises (SMEs), European Union (EU), Global Gateway, Vocational Training, Employment Dynamics

## ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლი ტურიზმის განვითარებაში

**ვალერი კატუკია** -სტუ.ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
**ბელა გოდერძიშვილი** - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მოწვ. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (IMC) არის ბრენდის შეტყობინებების გაერთიანების პროცესი, რათა ის თანმიმდევრულად იყოს ყველა მედიაში, რომელსაც ბრენდი იყენებს სამიზნე აუდიტორიასთან მისაღწევად. ეს სტრატეგიული მიდგომაა, რომელიც ხელმძღვანელობს ტაქტიკას და კომუნიკაციას მარკეტინგის ყველა არხზე.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები მსოფლიოში ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან. ის კომუნიკაციის პროცესის ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტია.
თანამედროვე პროდუქტის პოპულარიზაციაში, სინერგიული ეფექტის მისაღებად აუცილებელია მარკეტინგული კომუნიკაციის ყველა არსებული მეთოდისა და ინსტრუმენტის მობილიზება. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალეფექტიან რეალიზაციას და მოგების ზრდას. მსოფლიო ბაზარზე ლიდერობენ ის კომპანიები, რომლებსაც თანამედროვე, ძლიერი, მარკეტინგული კომუნიკაცია აქვს; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ზრუნავს კომპანიისა და მომხმარებლის ჯანსაღ კავშირებზე;
ქართულ ტურიზმში მომსახურების ბაზრის ფორმირება დასახვეწია, აუცილებელია იყოს: განვითარებული ინფრასტრუქტურა, დაცული იყოს უსაფრთხოების სტანდარტები; არსებობდეს ტურისტული ობიექტების ერთიანი ბაზა; ტურისტულ ობიექტებში დასაქმებულთა შესაძლებლობების გაძლიერება. ამ ყველა ამოცანას შესაძლებელია მარკეტინგული კომუნიკაციების სწორი მართვით მოეძებნოს თნამედროვე გადაჭრის გზები.
***საკვანძო სიტყვები:*** მარკეტინგული კომუნიკაციები, პირდაპირი მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ტურიზმი.

## The role of integrated marketing communications in tourism development

**Valeri Katukia** Doctor of Economics, Professor.
Georgian Technical University
**Bella Goderdzishvili** - Doctor of Economics. Professor
Tbilisi Humanitarian Teaching University

Integreted marketing communications(IMC) is the process of unifying a brands messege so that it is consistent across all media that a brand uses to reach its target audience. It is a strategic approach that guides tactics and communications across all marketing channels. Integrated marketing communications has recently been gaining increasing attention from tourism business leaders around the world. It is one of the central components of the communication process. In the promotion of a modern product, it is necessary to mobilize all existing methods and tools of marketing communication to achieve a synergistic effect. Integrated marketing communication is a set of measures that ensure highly effective sales of products and increase profits.
Companies that have modern, strong marketing communication are leading in the world market, integrated marketing communication takes care of healthy relations between the company and the consumer, in order to improve the formation of the service market in Georgian Tourism, it is necessary to have development infrastructure, compliance with safety standards; a unified base of tourist facilities; strengthening the capabilities of employees in tourist facilities. All these tasks can bey properly managing marketing communications.
**Keyworlds**: marketing communications, direct marketing, public relations, tourism

# ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები

**მაია მელაძე,** ასოცირებული პროფესორი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

საქართველო ღვინის ქვეყანა, მეღვინეობის ხანგრძლივი ისტორიით, მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის. ქვეყანა ძირითადად უცნობია (და ხშირად შეცდომით ერევათ შეერთებულ შტატების ჯორჯიის შტატში), მაგრამ ბოლო დროს საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო თავისი უნიკალური ქვევრის ღვინის გამო. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ღვინის უძველეს ჭურჭელში 8000 წლის წინანდელი ყურძნის კვალის მატერიალური მტკიცებულებები საქართველოს ღვინის ქვეყნად აქცევს - მევენახეობისა და მეღვინეობის უწყვეტი ტრადიციის მქონე უძველეს ქვეყნად.

ღვინო ქართული კულტურის ნაწილია. ბუნებრივ პირობებზე, ცოდნასა და რიტუალებზე დაფუძნებული კულტურა, რომელიც თაობებს გადაეცემა და კულტურული იდენტობასა და მემკვიდრეობას აყალიბებს. ღვინის ტურიზმი საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია. მდგრადი ღვინის ტურიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ღვინის ღირებულების ჯაჭვისთვის. ტურიზმი ღვინის ინდუსტრიაში უნიკალური შესაძლებლობაა ღვინის მწარმოებლებისთვის დაამყარონ ურთიერთობა მომხმარებლებთან და გაზარდონ პირდაპირი გაყიდვები.

მსოფლიოში ღვინის ტურიზმის ბაზარი 2020 წელს დაახლოებით 8,7 მილიარდი აშშ დოლარად შეფასდა. ვიზიტორების უმეტესობა იყო ჩვეულებრივი ღვინის დეგუსტატორები (statista-ს მიხედვით). პროგნოზის მიხედვით, ენოტურიზმის ბაზრის ზომა 2030 წელს 29,6 მილიარდ ევროს მიაღწევს.

ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის ბოლო წლებში ბევრი გაკეთდა. აშენდა მრავალი ახალი მარანი, აღდგენილია ბევრი ისტორიული მარანი, რომლებიც ქვეყნის საგანძურია და მიმზიდველია ტურისტებისთვის. საქართველოში „ღვინის გზის" პროექტი, რომელიც სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-მა დაგეგმა 2011 წელს ამოქმედდა. აზრაზე ვაზისა და ყურძნის სიმბოლოები ქართულია, ფერი კი საფერავი. ღვინის სამშობლოში „ღვინის გზა" ერთადერთი მასშტაბური ღვინის ტურისტული პროექტია, რომელსაც სახელმწიფო ხელმძღვანელობს. მასში შედის ქვეყანაში არსებული საოჯახო მარნები და საწარმოები, რომლებიც ღვინის ტურიზმით არიან დაკავებულნი. მოგზაურები გზებზე ხედავენ ნიშანს - „ღვინის გზა", რომელიც მიუთითებს ღვინის საწარმოებზე. ხშირად ინტერესდებიან ამ ინფორმაციით და ათვალიერებენ მინიშნებულ ადგილებს და შემდეგ რეკლამას ახორციელებენ. ეს თავისთავად ხელს უწყობს ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაციას და, შესაბამისად, ღვინის ტურიზმის განვითარებას.

ნაშრომის მიზანია ღვინის ტურიზმის როლის შესწავლა კომპანიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ დიდი ბრუნვა და მაღალი შემოსავლები. ღვინის ტურიზმმა მთლიანად შეცვალა კომპანიების მუშაობის სტილი.

**საკვანძო სიტყვები:** ღვინის ტურიზმი, ღვინის კომპანიები, ღვინის ღირებულებათა ჯაჭვი, ღვინის ტურიზმის ბაზარი, ღვინის გზა.

## The Possibility of Wine Tourism Development

**Maia Meladze**
Associate professor, Grigol Robakidze University

Georgia a wine country, with long-lasting winemaking history, is located between Europe and Asia. The country is largely unknown (and often mistaken for the state of Georgia in the United States) but has recently gained international attention for its unique Qvevri wine. Key Archeological findings, which include material evidence of 8000-years-old traces of grape inside many ancient vessels, make Georgia wine country one of the ancients with a continuous and uninterrupted tradition of viticulture and winemaking.

Wine is a part of Georgian culture. Culture based on natural conditions, knowledge and rituals that are passed on through generations reflects on forming part of the cultural identity and heritage. Wine tourism is one of the most important products for developing tourism in Georgia. Sustainable wine tourism represents an important opportunity for the wine value chain. Tourism in the wine industry is a unique opportunity for wineries to build relationships with customers and increase direct sales.

The wine tourism market worldwide was estimated to be worth around 8.7 billion U.S. dollars in 2020. Most of the visitors were casual wine tasters (by statista). As forecast, the enotourism's market size was expected to reach nearly 29.6 billion euros in 2030.

A lot has been done for the development of wine tourism in recent years. Many new wineries have been built, many historic wineries have been restored, which are the treasures of the country and are attractive to tourists. The "Wine Road" project in Georgia was planned by the state and the international organization USAID. It was launched in 2011. The symbols of vines and grapes on the signs are Georgian, and the color is Saperavi. In the homeland of wine, "Wine Road" is the only large-scale wine tourism project led by the state. It includes those family wine cellars and enterprises in the country that are engaged in wine tourism. Travelers see signs on the roads - the "Wine Road" - pointing to the wineries. They are often interested in this reference and visit the indicated places and then advertise them. This in itself contributes to the promotion of local wine and, accordingly, to the development of wine tourism.

The aim of the article is to study the role of wine tourism for companies which do not have a large turnover and high income Wine tourism have completely changed the style of operating for companies.

**Keywords:** Wine tourism, Wine companies, Wine value chain, Wine Tourism Market, Wine Road.

## ელექტრონული ბიზნესის ეფექტიანი მართვის თანამედროვე ტენდენციები

**ასმათ შამუგია,** ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

21-ე საუკუნე ციფრული ეპოქაა, სადაც ყველაფერი, რაც გვსურს შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ერთი მოქმედებით. 2019 წელი შესანიშნავი აღმოჩნდა ელექტრონული ბიზნესის ინდუსტრიისთვის, რადგან მისმა მსოფლიო შემოსავალმა 3.53 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა და 2023 წლის ბოლოსთვის 6.54 ტრილიონ დოლარს მიაღწია ელექტრონული ბიზნესის ზრდის თვალსაზრისით; ეს ციფრები ყველაფერზე

მეტყველებს, ეჭვგარეშეა, რომ ელექტრონული კომერცია, ციფრულ ბაზარზე პოზიციებს დღითი დღე გაზრდის.

გლობალურმა პანდემიამ უდავოდ მოახდინა ერთ – ერთი ყველაზე დიდი გავლენა ელექტრონულ ბიზნესზე. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის ფონზე კომერციული ობიექტები დაიხურა, კრიზისის განმავლობაში მათზე მარტივი წვდომა იყო და ჩვენ, ყველანი, სულ უფრო და უფრო მეტ ონლაინ მაღაზიას მივმართავდით. ექსპერტების აზრით, კორონავირუსის გავლენა არ იყო მოკლევადიანი ელექტრონული ბიზნესის ზრდისთვის, COVID-19-ის დასრულების შემდეგაც ის ინარჩუნებს პოზიციებს ბაზარზე და აგრძელებს ზრდას.

ელექტრონული ბიზნესის ინდუსტრია მუდმივად ვითარდება და ამ ინდუსტრიის საცალო ვაჭრობისთვის აუცილებელია დამატებითი ზრუნვა უახლესი ტენდენციების შესაბამისად, რადგან მას შეუძლია ბრენდის შექმნა ან გაწყვეტა სამუდამოდ. უმჯობესია თანამედროვე ინოვაციური კომპანიები მოერგონ ამ ტენდენციებს ახლა და მომავალში, რათა დარწმუნდნენ, რომ ყოველთვის უსწრებენ დროს.

მოცემულ თეზისებში გააანალიზებულია ელექტრონული ბიზნესის ეფექტიანი მართვის თანამედროვე ტენდენციები. ამასთანავე, შემოთავაზებულია მისი განვითარებისთვის საჭირო ეტაპები. საბოლოოდ კი ჩამოყალიბებულია დასკვნა.

***საკვანძო სიტყვები:*** ელექტრონული, ბიზნესი, მართვა, ციფრული, ონლაინ.

## Modern Trends in Effective E-business Management

**Asmat Shamugia,** Doctor of Economics
New Higher Education Institute - Newuni
Affiliated Associate Professor

The 21st century is a digital era where everything we want can be achieved with just one click. 2019 was a great year for the e-commerce industry, as its global revenue reached over $3.53 trillion and is expected to reach $6.54 trillion by the end of 2023 in terms of e-commerce growth; these figures speak for themselves, and there is no doubt that e-commerce is gaining ground in the digital marketplace day by day.

The global pandemic has undoubtedly had one of the biggest impacts on e-commerce. Although commercial establishments have been closed due to the coronavirus, they have been easily accessible during the crisis and we have all been increasingly turning to online stores. According to experts, the impact of coronavirus was not short-term for the growth of e-commerce, even after COVID-19 is over, it maintains its position in the market and continues to grow.

The e-commerce industry is constantly evolving, and retailers in this industry need to take extra care to stay abreast of the latest trends, as they can make or break a brand forever. It is best for modern, innovative companies to adapt to these trends now and in the future to ensure they are always ahead of the times.

These theses analyze modern trends in e-business effective management. In addition, there are proposed the stages necessary for its development. Finally, there is formulated a conclusion.

***Keywords***: Electronic, Business, Management, Digital, Online.

# The impact of technological progress on the application of strategic management accounting

**Iwona Franczak PhD,** Assistant Professor
University of Economics in Katowice, Faculty of Finance

In the global economy, geographical distances and national boundaries are becoming increasingly blurred. With the increasing mobility of production factors, enterprises are trying to increase their competitive advantage by focusing on activities that create value for them. In the manufacturing sector, enterprises face strong competitive pressure in terms of product variety, quality and prices, sales and distribution channels, etc. Therefore, in order to improve operational efficiency and create a competitive advantage over competitors, manufacturing enterprises need to find new management methods and tools for planning operational strategies in order to adapt to changes in the business environment.

One of the tools that many researchers have confirmed plays an important role in providing a strategically oriented information system is strategic management accounting.

Currently, an important factor within the organization that should be studied in the context of the use of management accounting tools is the technology used by the enterprise. New technology changes the information needs of managers when making decisions. In connection with the above, the purpose of the paper is to assess the impact of technological progress on the use of strategic management accounting in manufacturing enterprises. This goal will be achieved by a detailed review of domestic and foreign literature and systematizing knowledge on this subject.

# მწვანე ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში

**ირმა მოლაშხია,** ეკონომიკის დოქტორი, აფ. ასოც. პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ნაშრომი ეძღვნება გლობალური დათბობის პირობებში მწვანე (განახლებადი) ენერგო-რესურსების ათვისებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, რაც საჭირო ინვესტიციების მოზიდვას, საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას და "მწვანე შენობის" ტიპის სასტუმროებისათვის შეღავათების დაწესებას, კადრების გადამზადებას მოითხოვს. სტატიაში განხილულია საქართველოს მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების ბაზრის კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც "მწვანე შენობის" ტიპის სასტუმროებს დიდი უპირატესობები აქვთ ეკომეგობრული გარემოს შექმნაში, მათი პოპულარიზაციის ამაღლებაში, ენერგო-რესურსების დანახარჯების შემცირებაში და სასტუმროებისათვის უზარმაზარი მოგების მოტანაში, ასევე გარემო-პირობების გაუმჯობესობაში.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ტურიზმი დღემდე ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მზარდ სექტორს წარმოადგენს. მომავალში მისი განვითარება დიდადაა დამოკიდებული

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (მცხეთა, ყაზბეგი, ქობულეთი, ხევაჩაური და ბათუმი) საგრანტო - საპილოტო პროექტის „მწვანე ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გავრცელების დაჩქარებაზე ტურიზმის სექტორში“, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით, ასევე დონორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თანამშრომლობით ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებთან (თიბისი, პროკრედიტი და ბაზის ბანკი), მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით გაიცემა ენერგოკრედიტები.
**საკვანძო სიტყვები:** მწვანე (განახლებადი) ენერგია, ენერგოეფქტური ტექნოლოგიები, ენერგო-რესურსები, დონორი ორგანიზაციები.

# Implementation Green Energy and Energy Efficient Technologies in Georgia in the Field of Tourism

**Irma Molashhia,** Doctor of Economics, Associate Professor
Tbilisi Humanitarian Teaching University

The paper is devoted to the use of green (renewable) energy resources and energy-efficient technologies in the Georgian tourism industry in the context of global warming, which requires attracting the necessary investments, implementing legislative changes and establishing benefits for “green building” type hotels, and retraining personnel. The article discusses the results of a market study of small and medium-sized hotels in Georgia, according to which “green building” type hotels have great advantages in creating an eco-friendly environment, increasing their popularity, reducing energy-resource costs and bringing huge profits to hotels, as well as improving environmental conditions.

It is mentioned in the paper that tourism is the most growing sector of the country's economy. Its future development largely depends on the implementation of the grant-pilot project "Accelerating the Deployment of Green Energy and Energy-Efficient Technologies in the Tourism Sector" in various regions of the country (Mtskheta, Kazbegi, Kobuleti, Khelvachauri and Batumi), which is being implemented with the assistance of the German Society for International Cooperation (GIZ), as well as with co-financing from donor organizations. For example, in cooperation with local financial institutions (TBC, ProCredit and Basis Bank), energy credits are issued to support the green economy.

**Keywords:** green (renewable) energy, energy efficient technologies, energy resources, donor organizations.

# ევროკავშირის ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ასპექტები და მიმართულებები

**გიორგი ხარშილაძე,** ეკონომიკის დოქტორი, PhD, ასოცირებული პროფესორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლი უნივერსიტეტი

დღევანდელ ცვალდებად სამყაროში ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მათ შორის ევროკავშირისთვისაც, რომლის ექვსი პოლიტიკური პრიორიტეტიდან ერთ-ერთს a Europe fit for the digital age (ციფრული ეპოქის შესაბამისი ევროპა) წარმოადგენს. 2021 წელს ევროკავშირმა დასახა გზა ციფრული ათწლეულის მიმართულებით, რომლის სახელმძღვანელო პრინციპად მიჩნეულია 2030 წლის ციფრული კომპასი, რომელიც უნდა ჩავთვალოთ ევროკავშირის ეკონომიკის და საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევის ძირითად გეგმად. ციფრული კომპასის ოთხ ძირითად ტრაექტორიად მიჩნეულია ციფრული უნარები, უსაფრთხო და ეფექტური ციფრული ინფრასტრუქტურა, ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია და საჯარო სერვისების ციფრული გარდაქმნა.

პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან, აუცილებელია ციფრული ათწლეულის მიზნების მისაღწევად. დღის წესრიგის ძირითადი მიზანს წარმოადგენს წინა ათწლეულში დაწყებული ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება და ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგიის ჩამოყალიბება. ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგია, რომელიც 2015 წელს ამოქმედდა, სამი ძირითად პრინციპს აერთიანებს: ხელმისაწვდომობა, გარემო, ეკონომიკა და საზოგადოება

ვინაიდან ციფრული სფერო ევროკავშირისთვის პრიორიტეტია, ის პრიორიტეტია ასევე ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნებისთვის უკეთესი და უფრო ჰარმონიზებული ციფრული გარემოს შესაქმნელად. 2020 წლის შემდეგ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკური ამოცანები მოიცავს მიზნობრივ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს ერთიანი ციფრული ბაზრის განვითარებას: ინვესტირება კონკურენტუნარიან და ინოვაციურ ეკონომიკაში, ადამიანებსა და ცოდნაში, უსაფრთხოებაში, კიბერმდგრადობასა და ციფრულ ტრანსფორმაციაში.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული კომპასი, ციფრული სტრატეგია, აღმოსავლეთ პარტნიორობა

## Main Aspects and directions of digital transformation of European Union

**Giorgi Kharshialdze**, Doctor of Economics, PhD, Associate Professor
Tbilisi Humanitarian Teaching University

At recent changing period, when internet and digital technologies plays a hughe role in society and economy, a „Europe Fit a Digital Age“, one of sixth priorities. In March 2021, the European commision set the path toward a digital decade. Within this framework, „2030 Digital Compass“ was introduced as a roadmap for achieving the digital tranformation of the economy and society of the European Union. Four main trajectories

of the Digital Compas are digital skills, secure and efficient digital insfratructure, digital transformation of business and digital transformation of public services.

This political agenda aligns with EU norms and standards to strengthen the EU's digital sovereignty. A number of budgetary instruments will support the investments necessary to build Europe's Digital Decade on solid foundations. The agenda calls strengthening the work that began in previous decade to the acceleration of Europe's digital transformation that are based on progress and for strengthening Digital Single Market. This startegy paved the digital harmonization in the member states of the European Union. Based on three pillar and launced in 2015, the main aim of digital single market is economic growth, boosting jobs, competition, investment and innovation in the European Union.

As digital is a priority for the European Union, it is also a priority for the EU's strategic partner countries to create a better and more harmonised digital environment. The political objectives of the Eastern Partnership after 2020 include targeted activities that will contribute to the development of the Digital Single Market: investing in a competitive and innovative economy, people and knowledge, security, cyber resilience and digital transformation.

**Key Words:** European Union, Digital transformation, Digital Compass, Digital Strategy, Eastern Partnership.

## მომხმარებლური საზოგადოების თავისებურებები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში

**გივი მაკალათია,** ასოცირებული პროფესორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია მომხმარებლური საზოგადოების არსი და მისი თავისებურებები მიმდინარე პერიოდში. შედარებულია ადამ სმიტისეული შრომითი ღირებულების თეორიისა და კარლ მენგერისეული ზღვრულ სარგებელზე დაფუძნებული ღირებულების თეორიის პოსტულატები. მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური პრობლემები განხილულია აღნიშნული ორი ღირებულების თეორიის მიხედვით. გაანალიზებულია სუბიექტური ღირებულების თეორიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეკონომიკურ პრობლემებს ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია „ეკონომიკური ადამიანების" დემონსტრაციულ მოხმარებაზე, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს დაბალანსებულ სოციალურ ურთიერთობებზე. შესაბამისად, კვლევაში მოცემულია ავტორისეული ხედვა და ინტერპრეტაციები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით.

## Peculiarities of the consumer society in the conditions of the modern market economy

**Givi Makalatia**, Associate Professor
Tbilisi Humanitarian Teaching University

This study presents the essence of the consumer society and its features in the current period. The postulates of Adam Smith's labor theory of value and Carl Menger's theory of value based on marginal utility were compared. Economic problems in the current period were discussed according to the aforementioned two value theories. The positive and negative sides of the subjective value theory were analyzed. Economic problems are most focused on the demonstrative consumption of people, which has a negative impact on balanced social relations. Accordingly, the study provides the author's vision and interpretations regarding the aforementioned problems.

## მოსწავლე-ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის განვითარების ძირითადი ასპექტები

**ზვიად ვეკუა,** თჰუ, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
**მედეა ჭელიძე,** თჰუ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**თამარი ბერიძე,** თჰუ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

1. ტრენინგები და სემინარები გადამწყვეტ როლს თამაშობს მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. პროგრამები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ბიზნესის დაგეგმვა, მარკეტინგი, ფინანსები და მენეჯმენტი. ეს ფუნდამენტური ცოდნა აუცილებელია იმ პირებისთვის, ვინც ახალი ბიზნესის დაწყების პროცესშია. სწავლის პროცესში ცოდნის გაღრმავება კი ხელს უწყობს სამეწარმეო აზროვნებას და შესაბამისი უნარების გამომუშავებას.

ახალგაზრდებს მეწარმეობისკენ უბიძგებს შინაგანი მოტივაციების, გარე ფაქტორების და გარემოებების ერთობლიობა; მოტივაცია მნიშვნელოვნად მოქმედებს მეწარმეობაზე, მოტივაცია არის კრიტიკული მამოძრავებელი ძალა სამეწარმეო მცდელობებში.

2. ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებისათვის გადამწყვეტია მათი ძლიერი მხარეების დანახვა, სისუსტეების აღმოფხვრა, შესაძლებლობების გამოყენება და საფრთხეების შერბილება.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხელისუფლება და კერძო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნაში ტრენინგების და იმ რესურსების საშუალებით, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს სამეწარმეო უნარების განვითარებაში.

3. როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალი ყალიბდება განათლებით, კაპიტალზე ხელმისაწვდომობით, დამხმარე ეკოსისტემებით და ტექნოლოგიური წინსვლებით.

მიუხედავად იმისა, რომ მიდგომები და გამოწვევები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნებს შორის, საერთო ტენდენცია მიუთითებს მეწარმეობაზე, როგორც ახალგაზრდობის სიცოცხლისუნარიან და მიმზიდველ კარიერულ გზაზე.

4. განვითარებად ქვეყნებში ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის განვითარებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გამოწვევები, როგორიცაა ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, კულტურული ბარიერები და არაფორმალური ეკონომიკის დომინირება, ახალგაზრდა მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობები დადებითი გავლენა მოახდინონ თავიანთ ინტერესთა სფეროზე ციფრული პლატფორმების და პროფესიული სწავლების გამოყენებით, რაც ქმნის ხელსაყრელ საფუძველს განვითარებად ქვეყნებში მეწარმეობის განვითარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** სამეწარმეო პოტენციალი, სამეწარმეო აზროვნება, მოტივაცია, გარემო ფაქტორები, კარიერული წინსვლა.

## Main aspects of development entrepreneurial potential of young

**Zviad Vekua,** THU, Academic Doctor of Economics, Assistant Professor
**Medea Chelidze,** THU, Doctor of Economic Sciences, Professor
**Tamari Beridze,** THU, Candidate of Technical Sciences, Professor

1. Trainings and seminars play a crucial role in raising awareness about entrepreneurship. The programs cover topics such as business planning, marketing, finance and management. This fundamental knowledge is essential for those who are just starting a new business. Expanding knowledge through training helps develop an entrepreneurial mindset and related skills.

A combination of internal motivations, external factors and circumstances pushes young people towards entrepreneurship; Motivation significantly influences entrepreneurship Motivation is the most important driving force behind entrepreneurial activity.

2. Identifying one’s strengths, addressing weaknesses, seizing opportunities and mitigating threats is crucial for developing entrepreneurial competencies among young people.

Educational institutions, governments and private organizations play an important role in creating the right environment for them through training and resources that help young people develop their entrepreneurial skills.

3. The entrepreneurial potential of young people in both Europe and the United States is determined by education, access to capital, supporting ecosystems and technological advances.

While approaches and challenges may vary across countries, the overall trend is that entrepreneurship is a viable and attractive career path for young people.

